მთელი ძალები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებათა განხორციელებისათვის!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 40-ე წელი № 5 (11616) | ხუთშაბათი, 7 იანვარი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

პარტიის მოწოდებას გმირული შრომით ვუპასუხოთ

ახალ შესანიშნავ გამარჯვებათა მოპოვების, თავისი შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის ვითარებაში გააცილა საბჭოთა ხალხმა შვიდწლედის პირველი წელი.

დეკემბრის ბოლო რიცხვებში ჩვენი დიდი სამშობლოს გულში — მოსკოვში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც შეაჯამა სოციალისტური სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის გაწეული დიდი მუშაობის შედეგები და დასახა მომავლის ფართო პერსპექტივები.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლა ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ყველა აუცილებელი პირობა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის. სულ უფრო ფართოვდება მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თაოსნობით დაწყებული საყოველთაო-სახალხო მოძრაობა იმისათვის, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. ამ დიად პატრიოტულ მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობენ ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მშრომელებიც. ადგილებზე გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება მეტყველებს, რომ შვიდწლედის დავალება სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში შეიძლება ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულდეს.

ადგილებიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებამ ფართო გამოძახილი ჰპოვა საქართველოს მშრომელთა ფართო მასებში. რესპუბლიკის კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების აზრები და გრძნობები ახლა მიმართულია იქითკენ, რომ გამოინახოს და ამოქმედდეს მთელი რეზერვები შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესასრულებლად.

გასული სამეურნეო წელი ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა საერთოდ კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს. მიუხედავად არახელსაყრელი ამინდებისა, საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა პირნათლად შეასრულეს პირობა, შეასრულეს ხარისხიანი ჩაის ფოთლის კრეფისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ვალდებულებანი. როგორც უკვე ცნობილია, მოიკრიფა და სახელმწიფოს მიეყიდა 140 ათას ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი — 33 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1953 წელს. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისასალმებელმა დეპეშამ, რომელიც რესპუბლიკის მშრომელებმა ჩაის კრეფის სოციალისტური ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით მიიღეს, ახალი შრომითი გმირობისათვის აღაფრთოვანა კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, მთელი ქართველი ხალხი. შვიდწლიანი გეგმით დასახულია ჩაის კრეფა 1965 წელს გადიდდეს 170 ათას ტონამდე. საქართველოს მეჩაიეებმა კი გადაწყვიტეს შვიდწლედი შეასრულონ ორი წლით ადრე — 1963 წელს, ხოლო 1965 წელს მისცენ ქვეყანას სულ ცოტა 200 ათასი ტონა ჩაი.

საქართველოს სუბტროპიკული რაიონების მშრომელები თავიანთი მხრივ ყველაფერს აკეთებენ, რომ აღნიშნული ვალდებულება პირნათლად შეასრულონ. მაგრამ მათ წინაშე ჯერ კიდევ ვალში არიან კონსტრუქტორები და სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებელ საწარმოთა კოლექტივები, რომლებმაც დღემდე ვერ შექმნეს სრულყოფილი მანქანები ჩაის ფოთლის კრეფისათვის. მეჩაიეები, რომლებიც მეტად მძიმე შრომატევად სამუშაოებს ჯერ კიდევ ხელით ასრულებენ, მოელიან ჩვენი კონსტრუქტორებისა და მანქანათმშენებელი ქარხნების კოლექტივებისაგან შეასრულონ დანაპირები, უახლოეს მომავალში გაახარონ ჩაის საკრეფი მანქანების შექმნით და სერიულად წარმოებით.

თავი გამოიჩინეს აგრეთვე ჩვენმა მეაბრეშუმეებმა, მეთამბაქოეებმა, ეთერზეთოვანი კულტურების მწარმოებელმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. გვასახელეს კახელმა მევენახეებმა, რომლებმაც, ამინდის არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, მაინც შეძლეს მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეესრულებინათ სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის ვალდებულებანი.

მიუხედავად იმისა, უკანასკნელ წლებში სერიოზული ღონისძიებანი განხორციელდა ჩვენს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის, ცალკეული რაიონების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების არადამაკმაყოფილებელი ორგანიზატორული მუშაობის შედეგად რესპუბლიკამ გასულ წელს ვერ შეასრულა ხორცის წარმოების ვალდებულება. ამ საქმეში რესპუბლიკის მაჩვენებლები უკან დასწიეს აფხაზეთის ასს რესპუბლიკის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, კერძოდ სოხუმის, გუდაუთის, ოჩამჩირის, ჯავის, ზნაურის რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. ამ საქმეში არც ხაშურის, წალკის, მცხეთის, ვანის, ჩხოროწყუს და რესპუბლიკის ზოგიერთ სხვა რაიონს გამოუჩენია თავი.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრმა რაიონმა, მათ შორის ახალქალაქის, დმანისის, თეთრი წყაროს, ბორჯომის, ახალციხის, სიღნაღის, წითელწყაროს და ზოგიერთმა სხვა რაიონმა, განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი, რითაც მიაღწია მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებას და სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის დავალებათა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებას. ყველგან რომ განეხორციელებინათ ისეთი პროგრესული ღონისძიებანი, როგორიც არის, მაგალითად, მეწველი პირუტყვის გადაყვანა ბაგურ-ბანაკურ შენახვაზე, შეექმნათ საძოვარზე გასასუქებელი საკოლმეურნეობათაშორისო ჯოგები, გასასუქებელი ღორების თავისუფალ ბალახობაზე გაშვება, ფრინველის შენახვა სქელ საგებზე, ხბოების ჯგუფური მოწოვების ფართოდ დანერგვა, ცხოველების ხელოვნური განაყოფიერების დანერგვა და სხვ., გაცილებით უკეთესი წარმატებები გვექნებოდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებასა და მისი პროდუქტიულობის თვალსაჩინოდ გადიდებაში.

მეტად დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ მთელ რიგ რაიონებში დღემდე ვერ მიაღწიეს ისეთ მდგომარეობას, რომ პირუტყვის რაოდენობა საზოგადოებრივ მეურნეობაში სჭარბობდეს იმ პირუტყვის სულადობას, რომელიც კოლმეურნეთა პირად სარგებლობაშია. ამ მხრივ თუმცა გადადგმულია პირველი ნაბიჯები, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი. საჭიროა ამ მიმართულებით ადგილებზე განხორციელდეს ქმედითი ღონისძიებანი.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე ამბობდა:

„საბოლოო ანგარიშით ჩვენ ბრწყინვალე წარმატებები გვაქვს. ახლა სოციალიზმის მტრები შეცბუნებული არიან საბჭოთა კავშირის გამარჯვებებით. გვაქვს რა ეს გამარჯვებები, ჩვენ შეგვიძლია უფრო მტკიცე რწმენით ვიაროთ წინ ახალი მიღწევებისაკენ. ჩვენ დიდი სიმაღლე და კარგი სიჩქარე ავიღეთ. ამიტომ ახლა უფრო ადვილია გადავიდეთ შემდეგ უფრო დიდ სიჩქარეზე და ავიღოთ ახალი სიმაღლე".

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მშრომელები, რომლებსაც კარგად აქვთ წარმოდგენილი თავიანთი ამოცანები და თავიანთი მოვალეობა ჩვენი ქვეყნის წინაშე, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ მთელი ძალების მობილიზაციით მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ შვიდწლედის მეორე წლის დავალებანი.

ახალი წლის ფოლადი, თუჯი...

რუსთავი. (საკ. კორ.). სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე აღინიშნა, რომ სოფლის მეურნეობისათვის დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ მეტალურგებს. გეგმის ზევით გამომუშავებული ყოველი ტონა ფოლადი დამატებითი რეზერვია სასოფლო-სამეურნეო მანქანების საწარმოებლად. რუსთავის მეტალურგებმაც გადაწყვიტეს გეგმის გადამეტებით ათასობით ტონა ფოლადი გამოადნონ.

პირველი დღეების შედეგების შეჯამებამ გვიჩვენა, რომ ქართველი მეტალურგები არ ანელებენ ტემპებს, შრომითს საჩუქრებს უმზადებენ საქართველოს კომპარტიის XX ყრილობას. მარტენის საამქროს კოლექტივმა იანვრის პირველ 4 დღეში გეგმის გადამეტებით გამოუშვა ასობით ტონაზე მეტი ფოლადი, ხოლო მებრძმედეებმა სამშობლოს მისცეს დიდძალი ზეგეგმითი თუჯი.

8 იანვარს დღის 2 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 8) გაიხსნება

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის XXIX საქალაქო კონფერენცია.

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში დღის 12 საათიდან.

გეგმები შესრულეს

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებმა და ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის პლანტაციების გაშენების 1959 წლის დავალებანი. გეგმით გათვალისწინებული 319 ჰექტარის ნაცვლად გაშენებულია 343 ჰექტარი. ჩაის პლანტაციების გაშენება გრძელდება.

• • •

ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობამ 102 პროცენტით შეასრულეს ჩაის პლანტაციების გაშენების გეგმა, ვენახებისა — 144 პროცენტით, თუთის ხის ნარგავებისა — 130 პროცენტით, ხეხილის ბაღებისა — 111 პროცენტით. (საქდესი).

სურათზე: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მონაწილენი კრემლის დიდი სასახლის გიორგის დარბაზში. (მარცხნიდან მარჯვნივ): საქართველოს კომპარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პირველი მდივანი ა. ბექაური, სამგორის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი ს. დელიბაშვილი, მახარაძის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი ტ. ჩხაიძე, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, უკრაინის სსრ კიროვოგრადის ოლქის ნოვოუკრაინკის რაიონის სკკპ XX ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი ა. გიტალოვი, გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. იაშვილი და წითელწყაროელი მექანიზატორი გ. დოლიძე.

ფოტო ვ. სავოსტიანოვისა.

(გადაღებულია „კომუნისტის" დაკვეთით).

დავეწიოთ ჩიჟს!

გავუსწრებთ ამერიკას!

ენამთის ფერდობზე, იქ, სადაც ალაზნის ველი იწყება, ციცინათელებივით კიაფობენ ნათურები. ეს ჯაფარიძელთა მეცხოველეობის დაბაა. ბინებში მძიმედ დგანან ცურსავსე ძროხები, მადიანად იცოხნიან ფურკამეჩები, აქვე ღრუტუნებენ მორგვივით დამრგვალებული ღორები.

მილარზე მშვიდი ღამეა, სძინავს მეცხოველეთა დაბას... განათებულ სარკმელთან კი... სანდომიანი სახის ჭაბუკი მაგიდაზე გაშლილ გაზეთს კითხულობს. უეცრად სახე უბრწყინდება...

— ივან, ივან, იაროსლავი გახსოვს?.. გაზეთში რომ წავიკითხეთ... ლვოველი მეღორე, რომელსაც ფერმაში ნიკიტა სერგის-ძე ესტუმრა.

ახლად ჩაძინებული ივანე დავითის შეძახილზე შეიშმუშნა, თვალი გაახილა.

— რა მოხდა, რა ამბავია!

— ჩვენი იაროსლავი ტრიბუნაზეა! — ისე დაიძახა დავითმა თითქოს იაროსლავ ჩიჟი, ლვოვის ოლქის შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობის მეღორე, მისი ყრმობის მეგობარი და ძველისძველი ნაცნობი ყოფილიყოს.

— ტრიბუნაზე! სად? — გაიოცა ივანემ.

— პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ტრიბუნაზე. გესმის, ვანია! პლენუმის ტრიბუნიდან ისმის მეღორის ხმა, კრემლის დარბაზიდან. ლაპარაკობს, და მას ტაშს უკრავენ პარტიის ხელმძღვანელები, საბჭოთა მთავრობა, ხალხი... როგორი საქმეა?!

ივანემ გაზეთი გამოართვა.

შეღრთქლილი სარკმლის იქით ზამთრის სუსხიანი ქარი დაზუზუნებდა, თოვლს დაეფარა მეცხოველეობის დაბა. ყინავდა, დავითმა მხოლოდ ახლა იგრძნო სიცივე, ღუმელთან ჩაიმუხლა, ცეცხლი ააგიზგიზა. როცა მოთბა და სახე სიცხისაგან აელეწა, ირიბად გადახედა ივანეს. იგი გაფაციცებით კითხულობდა გაზეთს. დავითს ტუჩები უცნაურად შეუტოკდა, აი ისე, ადამიანი დიდ სიხარულს, რომ განიცდის.

— მოგწონს? კარგია?..

— დამაცადე! დავამთავრო წაკითხვა!

დავითი კვლავ ცეცხლს მიუჯდა. ფიქრებმა გაიტაცა.

კარგად ახსოვს, კომკავშირის კრებაზე სექტემბრის პლენუმის დადგენილებას განიხილავდნენ. მაშინ მეღორეობა კოლმეურნეობის ჩამორჩენილ დარგად ითვლებოდა. მე წავალო, თქვა დავითმა, და წავიდა კიდეც... მალე პირობა საქმედ აქცია. პირველად 40 ღორს ასუქებდა, შემდეგ ასის მოვლა იკისრა, შარშანწინ 200 ღორი ჰყავდა, შარშან ამასაც არ დასჯერდა, 300 ღორი გაასუქა. სახელოვან კომკავშირელს საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მაღალი შეფასება მისცა. მისი სახელი კოლმეურნეობის საზღვრებს გასცდა. წითელწყაროს რაიონის მშრომელები ამაყობენ დავით სეფიაშვილის სასახელო შრომით.

— ეჰ! — ღრმად ამოისუნთქა დავითმა, — თურმე ყოფილან ადამიანები, რომლებიც ჩემზე უკეთ მუშაობენ. ჩიჟმა ღორის ხორცის ჩაბარების შემდეგ საკოლმეურნეო სალაროში 294.479 ათასი მანეთი შეიტანა, მე კი მხოლოდ 200.000 მანეთს მივაღწიე, მან 502 ცენტნერი ღორის ხორცი მიიღო, მე კი 450 ცენტნერი... იაროსლავს ერთი ცენტნერი ღორის ხორცი 224 მანეთი დაუჯდა, მე ჯერ კიდევ ძვირად მიღირს...

— ბრწყინვალეა! — ხმამაღლა დაიძახა ივანემ და დავითს შეხედა. არაფერი კი არ უთქვამს. ალბათ გამოცდილმა მეღორემ ივანე კალაშკოვმა იდუმალად აწონ-დაწონა ჩიჟის სიტყვები, ჰკუაში დაუჯდა, რომ გაიღიმა. გაზეთის კითხვა განაგრძო, დავითი გაბრაზდა, ივანე სიტყვაძუნწიაო...

— უცნაური კაცი ხარ, რაღას გაჩუმდი! თქვი რამე!..

— თითქოს გულში გვიზის, ისე ამბობს ამხანაგი ჩიჟი... მე მინდა ვიყო მეღორე-მექანიზატორი, მე მინდა ვიყო მეღორე-ტრაქტორისტი, გესმის, დავით? რამდენი რამ ისმის ამ სიტყვებში...

ერთხანს დუმილი ჩამოვარდა. ღუმელში მუგუზალი გიზგიზებდა, ფანჯრის შეყინული მინები დაბურულიყო, ალაზნის ველზე ნისლი იყო ჩამოწოლილი.

— ივანე! შენ ხომ რუსი ხარ, მე ქართველი, მაგრამ ორივე ძმები ვართ, თითქოს ერთმა დედამ გვშობაო... ხომ ხარ დარწმუნებული, რომ მიყვარხარ იმიტომ, რომ ამ საქმის სიყვარული შენ გამიღვიძე, შენ მომეცი გზა ახალი ცხოვრებისაკენ, დამაოსტატე. მე შენი შეგირდი ვარ, შენ კი ძვირფასი ოსტატი.

— სიყვარულს მიხსნი?! — სიცილით თქვა ივანემ.

— მე მინდა მესამე ძმაც გვყავდეს... ივანე, მივწეროთ წერილი, და იცი რა მივწეროთ? აი ის, რასაც გულში ინახავს, რაც იქ, მოსკოვშიც, არ უთქვამს, საიდუმლოება ღორების გასუქებაზე. ის ხომ ყველაფერს არ იტყოდა, რაღაცას შემოინახავდა, ჩვენც ხომ ასე ვართ, — დუმილის შემდეგ დაუმატა დავითმა, — თუმცა, პირისპირ რომ შეხვდე, ზურგიც მაგარი უნდა გქონდეს.

— არც ისეა საქმე, შენ რომ გგონია... ეგ შემდეგ. ახლა კი დაიძინე!

დავითი ჩაწვა, საბანი დაიხურა, მაგრამ ფიქრი ლიბრივით ეკვროდა მის გონებას.

— უცნაური კაცი ხარ, ივანე, ასე ხელად რამ დაგაძინა. ეჰ, იძინე მეგობარო, იძინე. — დავითმაც თვალები მილულა, ძილი კი არ ეკარება. ბურანში ხედავს, თუ როგორ კაშკაშებს სოფელი ჯაფარიძე და ის კოლმეურნეობა, სადაც იაროსლავ ჩიჟია, ხელი ჩამოართვა იაროსლავს. თითქოს ესაუბრება კიდეც.

— შენთან შეხვედრაზე ვოცნებობდი. მინდა მეგობრები ვიყოთ.

— კეთილი, მეც მომეწონე, მიამბე შენს მუშაობაზე. რას ფიქრობ მომავალზე?

— პირობა დავდე წელს 1.000 ცენტნერი ხორცი მივიღო, გეტოლები, მაგრამ გაგიტოლდები კი?.. 1961 წელს 2.000 ცენტნერ ღორის ხორცს მივიღებ, თუმცა დეკემბრის პლენუმზე შენ 2,5 ათასი ცენტნერი ხორცის მიღება იკისრე. — რა გულმართლად იძახდი, იაროსლავ. თვითეული შენი სიტყვა გულზე მალამოსავით მეფინებოდა, ჩვენც არა გვაქვს მექანიზმები, ფერმებთან მისასვლელი გზები შესაკეთებელია, არა გვაქვს საკვების მისაწოდებელი კონვეიერი, თუმცა წელს 2.500 ტონა ჭარხალი მივიღეთ. განუზომლად გვაქვს სიმინდი, ქერი, შვრია, 8 ჰექტარი მიწის ვაშლი გვეთესა, 15 ჰექტარზე კი — საზამთრო და გოგრა. კოლმეურნეობას უნარიანი ვაჟკაცი ნიკოლოზ ყოჩიაშვილი ხელმძღვანელობს. იგი მოწადინებულია, გვპირდება ოღონდაც ჩიჟს აჯობეთ, და ყველაფერს გავაკეთებო.

იაროსლავს გაეღიმა.

— ეგვი არ მეპარება.

— იაროსლავ, გამანდე ღორების სუქების საიდუმლოება, რომელიც გულში გაქვს შენახული.

იაროსლავმა გადაიხარხარა, მკერდში ჩაიკრა დავითი და ყურში ჩასჩურჩულა.

— მაგაზე შემდეგ, როცა ძალიან გაგიჭირდება...

ფიქრები ღორის ჭყივილმა გაფანტა. დავითი ელდანაცემივით წამოვარდა. შინდის კომბალს დაავლო ხელი, აფთარ, აფთარ!.. შეუძახა და თავქვე დაეშვა.

ხმაურზე ყველას გაეღვიძა, თოფებითა და ხელკეტებით მორბოდნენ, მათ შორის იყო ივანეც.

— ფხიზელი კაცი ხარ, დავით!

დავითი ხმას არ იღებდა. თავი ჩაექინდრა და უხმოდ მისდევდა მეგობარს. ასეთი გულჩათხრობილი იგი არასოდეს არ ყოფილა.

— რა დაგემართა, ავად ხომ არა ხარ? — შეეკითხა ივანე.

— ფუჭი ოცნებაა. მე დიდ მომავალზე ვფიქრობდი, თურმე ცუდი მომვლელი ვყოფილვარ, მგელი თვალდათვალ მტაცებდა პირუტყვს.

— შემთხვევისაგან არავინ არის დაზღვეული. ეს რომ იაროსლავმა გაიგოს, გადაგეხვევა, გადაგკოცნის და ალფრთოვანებით გეტყვის:

— ყოჩაღ, დავით, ფხიზელი გუშაგი ყოფილხარ!

ცა მოწმენდილიყო, მილარიდან ბინდი იკრიფებოდა. ქალარა კავკასიონთან მტრედისფრად ინათა. დღეს საოცრად ლამაზი დილა გათენდა, დავითის ფიქრებიც ამ დილასავით ლამაზი და ხათუთი იყო...

გ. ხეჩუაშვილი,
ბ. ბახტურიძე,

„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტები.

მეღორე დ. ხუციშვილი.

ნახ. ა. ნემსაძისა.

გუშინ ჩაის პლანტაციებში

მახარაძე. ახალი წლის პირველი დღიდანვე ჩაის პლანტაციებში ბეჯითი შრომაა გაჩაღებული. კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ შვიდწლედის მეორე წელს შარშანდელთან შედარებით ერთიორად გაადიდონ ჩაის მოსავლიანობა. პლანტაციებში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ნიადაგის გადაპარვა, სადრენაჟო თხრილების წესრიგში მოყვანა, ახალი ღობეების გაკეთება და ძველის რემონტი. მარტო ერთ დღეს — გუშინ რაიონში მწკრივთა შორის ნიადაგი გადაბარულ იქნა 140 ჰექტარზე. სულ აღნიშნული სამუშაო შესრულებულია 3.500 ჰექტარზე.

ჩაის საზამთრო სამუშაოებში დაწინაურდა სოფელ შრომის კოლმეურნეობა. აქ უკვე დასასრულს უახლოვდება პლანტაციებში ნიადაგის დამუშავებისა და ფოსფოროვანი და კალიუმის სასუქების შეტანის სამუშაოები. გუშინ ნიადაგი გადაბარეს 11 ჰექტარზე. ამ კოლმეურნეობის სახელოვანმა წევრმა ნინო გოგოძემ ერთ დღეს ჩაის პლანტაციებში მწკრივთა შორის ნიადაგის გადაბარვის დავალება 180 პროცენტით შეასრულა.

რაიონში მნიშვნელოვანი ღონისძიება ხორციელდება ჩაის მეჩხერი პლანტაციის შესავსებად. ამ მიზნით წელს გათვალისწინებულია შეხავსებულ კოშტებში გამოიყვანონ 1.160.000 ჩაის ნერგი და მიღებული ნერგით შეავსონ 127 ჰექტარი ჩაის პლანტაცია.

ჩაის მეჩხერი პლანტაციის შევსებისათვის ჩაის ნერგების გამოსაყვანად კარგად მუშაობს სოფელ მერიის კოლმეურნეობა. ამ კოლმეურნეობის ახალგაზრდულმა ბრიგადამ, რომელსაც ზ. ბოლქვაძე ხელმძღვანელობს, პირობა დადო წელს შეხავსებულ კოშტებში გამოიყვანოს 90 ათასი ნერგი



და ამით შეავსოს 4,5 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. ამ ბრიგადის წევრები ნ. მოისწრაფიშვილი, რ. ბოლქვაძე და სხვები ახლა ნიადაგს ამზადებენ ჩაის ნერგის გამოსაყვანად.

ზუგდიდი. იანვრის პირველ დღეებში ახალი ძალით გაჩაღდა მუშაობა ჩაის პლანტაციებში. კოლმეურნეობებში გეგმით გათვალისწინებული 80 ჰექტარის ნაცვლად გაშენდა 110 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. გუშინ რაიონში მთლიანად შესრულდა ჩაის პლანტაციების გადაბარვის გეგმა. გადაბარულია 1.200 ჰექტარი.

ჩაის პლანტაციების გადაბარვის, გაშენების, სადრენაჟო არხების გაწმენდის საქმეში დაწინაურდნენ სოფლების რუხის, კახათის, ინგირის კოლმეურნეობები. ახალ წარმატებას მიაღწია სოფელ რუხის სხულუხიას სახელობის კოლმეურნეობის მეხუთე ბრიგადამ, მან უკვე დაამთავრა ჩაის გადაბარვა და პლანტაციის გაშენება. 15 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე შეტანილია 40 ტონა ნაკელი. ახლა ნიადაგს ამზადებენ გაზაფხულზე 3 ჰექტარი ჩაის პლანტაციის გასაშენებლად.

მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწია ინგირის კოლმეურნეობის მეცხრე ბრიგადამ (ხელმძღვანელი ა. ახალაია), რომელმაც მთლიანად დაამთავრა პლანტაციის გადაბარვა სასუქების შეტანით, გაწმინდა სადრენაჟო არხები. წელს რაიონის კოლმეურნეობები ჩაის პლანტაციებში დიდი რაოდენობით შეიტანენ ტორფს და ყოველი ღონისძიებით გაადიდებენ ჩაის მოსავლიანობას.

ჩოხატაური. დღითიდღე ძლიერდება საზამთრო სამუშაოები ჩაის პლანტაციებში. კოლმეურნეები ენერგიულად შრომობენ. რაიონში უნდა გადაიბაროს 1.800 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, უკვე გადაბარულია 1.040 ჰექტარი. მარტო 6 დეკემბერს, მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, გადაბარულ იქნა 52 ჰექტარი.

კოლმეურნეებმა კარგად იმუშავეს ჩაის პლანტაციების გაშენების საქმეში. გეგმით გათვალისწინებული 50 ჰექტარის ნაცვლად გააშენეს 51 ჰექტარი. საზამთრო სამუშაოებში დაწინაურდნენ ჩაისუბნის, ფარცხმის, ბუკნარის და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობები.

სასახელოდ მუშაობს სოფელ ჩაისუბნის კოლმეურნეობის მეორე ბრიგადა, რომელიც კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელს ატარებს. მას უნარიანად ხელმძღვანელობს ნ. ბოლქვაძე. ამ ბრიგადამ უნდა გადაიბარა 40 ჰექტარი პლანტაცია. ეს სამუშაო მთლიანად დაამთავრა სასუქების შეტანით. ბრიგადის თვითეული წევრი თავდადებით შრომობს შვიდწლედის მეორე წელს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

მთელი ძალები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებათა განხორციელებისათვის!

ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაისუბნის მოწინავე მეჩაიე გუგული დავითაძე, რომელმაც შარშან გეგმის გადამეტებით რამდენიმე ასეული კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, ამჟამად იგი თავდადებით მუშაობს შვიდწლედის მეორე წლის უხვი მოსავლისათვის.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ლაპარაკობენ პლენუმის მონაწილენი

ზღუდე-აღებული იქნება

დიდი ბედნიერება მხვდა წილად. მონაწილეობა მივიღე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში. პლენუმზე ყველაფერი შესანიშნავი იყო: მოხსენებებიც და კამათიც. მაგრამ ჩემთვის, უბრალო გლეხის ქალისათვის, ყველაზე ძვირფასი იყო მომესმინა ნ. ს. ხრუშჩოვის უაღრესად ღრმაშინაარსიანი სიტყვა, რომელიც ჩვენი მომავალი შემოქმედებითი შრომის გაშლილ პროგრამას წარმოადგენს.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის სიტყვაში წამოაყენა დიდმნიშვნელოვანი ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა ხელს შეუწყობს არა მარტო სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნას, არამედ კოლმეურნეთა ეკონომიკის შემდგომ გაძლიერებასა და საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

პირადად მე შვიდწლედის პირველი წელი კარგად დავამთავრე, როგორც ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ აღნიშნა თავის სიტყვაში პლენუმზე, შარშან ჰექტარზე მოვკრიფე 165 ცენტნერი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. ის ფაქტი, რომ ჩემი მცირე შრომა აღინიშნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე, დიდ მოვალეობას მაკისრებს.

შარშან ჩვენმა რგოლმა 3,2 ჰექტარ ფართობზე მიიღო 44.600 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, გეგმა კი 35.000 კილოგრამს ითვალისწინებდა; ჰექტარზე საშუალოდ მოვკრიფეთ 13.900 კილოგრამი ჩაის ნედლეული. მაგრამ ეს ზღვარი როდია. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა ჩემი რგოლის წევრებმა გადაწყვიტეს შვიდწლედის მეორე წელს კიდევ უფრო გაადიდონ ჩაის მოსავლიანობა და ჰექტარზე საშუალოდ მოკრიფონ 14.000 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. პირადად მე ჩემთვის მოსავლელად მიჩენილ 0,5 ჰექტარზე მოვკრეფ 9.000 კილოგრამ ჩაის ხარისხოვან ფოთოლს და ამით შვიდწლედის დავალებას ორ წელიწადში შევასრულებ.

ჩვენი რგოლის წევრებმა — წარჩინებულმა მეჩაიეებმა ნინო გოგოძემ, შურა კუბუსიძემ, კომკავშირელმა ქალიშვილებმა ნათელა გიორგაძემ და თინა თამაზაშვილმა თავის მხრივ იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი. ახლა მთელ ჩვენს კოლმეურნეობასა და რაიონში გაჩაღებულია ჩაის პლანტაციების საზამთრო დამუშავება, მისი სიმეჩხრის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ ღონისძიებათა განხორციელებით აქედანვე ვუყრით საფუძველს 1960 წელს ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მიღებას.

მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი ჩვენი კოლმეურნეობის წევრებმა მიიღეს თავის საბრძოლო პროგრამად. დავრაზმავთ მთელს ჩვენს ძალებს იმისათვის, რომ გავამართლოთ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მაღალი ნდობა, სამშობლოს მივცეთ მაღალხარისხოვანი ქართული ჩაი, ჩვენი წვლილი შევიტანოთ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

როგორც შესანიშნავი შედეგებით დავამთავრეთ გასული 1959 წელი, ასევე წარმატებით იქნება აღებული შვიდწლედის მეორე წლის ზღუდეც.

ტატიანა ჩხაიძე,
მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, სოციალისტური შრომის გმირი.

იყო 3.500, იქნება 4.000

ჩემს სიცოცხლეში იმდენი ბედნიერი წუთები არ განმიცდია, რაც წილად მხვდა მოსკოვში, მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე ყოფნის დღეებში.

რას წარმოვიდგენდი, თუ ნორიოელ რიგით მწველავ ქალს ასე დამიფასდებოდა ჩემი მცირეოდენი შრომა! ჩემსავით რიგითი კოლმეურნეები ბევრნი იყვნენ მიწვეულნი პლენუმზე. მე ვუსმენდი მათ გამოსვლას ტრიბუნიდან, ვესაუბრებოდი სხდომებს შუა შესვენების დროს. ბევრი, ძალიან ბევრი სასარგებლო გამოცდილება და რჩევა მივიღე მოწინავე ადამიანებისაგან.

პლენუმის საბოლოო სხდომაზე ჩემს გვერდით იჯდა ჟიტომირის ოლქის კოლმეურნეობა „პირველი მაისის" გამოჩენილი მწველავი, სოციალისტური შრომის გმირი რაისა კოტი. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის შემდეგ მან მითხრა:

— აბა, ქართველო ქალო, ხომ მოისმინე, რა ამოცანები დაგვისახა პარტიამ. მზად იყავი შვიდწლედის მეორე წელს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად, შევეჯიბროთ ერთმანეთს...

რა მეთქმოდა. რაისა კოტს როგორ ვაჯობებ. მას შარშან 11,5 თვეში თითოეულ ძროხაზე მოწველილი ჰქონდა 7.500 ლიტრზე მეტი რძე, მე კი მხოლოდ 3.500 ლიტრი. მაგრამ მასთან მაინც პირობა დავდე, პლენუმის გადაწყვეტილებათა საპასუხოდ თითოეულ ძროხაზე 4.000 ლიტრ რძეს მივიღებ-მეთქი. ეს ვალდებულება კი ვიკისრე გამოჩენილ მწველავ ქალთან, მაგრამ მოსკოვიდან რომ დავბრუნდი, დავფიქრდი: რატომ უფრო მეტის მიღება არ შეიძლება! მით უმეტეს, რომ ჩვენი კოლმეურნეობა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება ტამბოვის ოლქის მიჩურინის რაიონის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობასთან, რომლის თავმჯდომარეს ევგენია ივანეს ასულ ანდრეევას პლენუმზე შევხვდი და საუბარი მქონდა მასთან. მათთან შეჯიბრება ხუმრობა როდია. ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის სიტყვაში ძალიან აქო ანდრეევა და მისი კოლმეურნეობა. მათგან ჩვენ ბევრს ვისწავლით და შეიძლება უახლოეს 2-3 წელიწადში სერიოზული მეტოქეობაც გავუწიოთ.

რა თქმა უნდა, შეგვიძლია ამ წარმატებებს მივაღწიოთ, თუ ჩვენს ფერმაში დაინერგება მექანიზაცია, შეგვიმსუბუქდება ხელით შრომა. მაშინ მუშაობა უფრო ხალისიანად წავა. ამის შესახებ ბევრი ითქვა პლენუმზე. ალბათ არც ჩვენს ფერმაში დაგვიანდება შრომატევად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია. ამაზე კარგს რას ინატრებს კაცი! მაშინ თითოეულ ძროხაზე 4.000 კი არა, რატომ 5.000 და 6.000 ლიტრ რძეს არ მივიღებ. ასეთია ჩემი პირობა 1960 წლისათვის.

მადლობა პარტიას და მთავრობას, რომლებმაც ჩემს შრომას მაღალი შეფასება მისცეს და ლენინის ორდენით დამაჯილდოეს. ამიერიდან კიდევ უფრო მეტი ენერგიით ვიშრომებ ნაკისრ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის.

სოფიო დელიგაშვილი,
სამგორის რაიონის სოფელ ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი, ლენინის ორდენოსანი.

მთლიანი მექანიზაციისათვის

მოსკოვში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მუშაობაში მონაწილეობის მიღების შემდეგ უდიდესი შთაბეჭდილებით ვარ აღსავსე. პლენუმზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის შთამაგონებელმა სიტყვამ, ჩვენი ქვეყნის ცნობილ მექანიზატორებთან ალექსანდრე გიტალოვთან და ნიკოლოზ მანუკოვსკისთან შეხვედრებმა დღის სინათლესავით ყველაფერი ნათელი გახადა ჩემთვის. თურმე შემეძლო ჩვენს კოლმეურნეობაში მუშაობა ბევრად უკეთესად მომეწყო, მაგრამ რატომ ვერ ვახერხებდი ამას, ჯერაც ვერ ამიხსნია.

ალექსანდრე გიტალოვთან და ნიკოლოზ მანუკოვსკისთან საუბარში ბევრი რამ ახალი შევიტყე. მათ მართლაც მდიდარი გამოცდილება ჰქონიათ ყველა შრომატევად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის საქმეში. მოსკოვიდან დაბრუნებისთანავე შევკრიბე ჩვენი არტელის მექანიზატორები და ვესაუბრე პლენუმის შედეგების შესახებ, გიტალოვისა და მანუკოვსკის მეტად საყურადღებო გამოცდილებაზე. უკვე შევუდექით მუშაობას მეცხოველეობის ფერმებში კომპლექსური მექანიზაციის განსახორციელებლად.

ბევრი სიძნელე გველობება ამ საქმეში. ჯერჯერობით არა გვაქვს ისეთი აგრეგატები, რომლებიც უხვად ჰქონია მანუკოვსკის სატრაქტორო ბრიგადას. მაგრამ ახალი მანქანების მიღებას როდი ვუცდით. ჩვენი კოლმეურნეობის სახელოსნოში ვაწყობთ ზოგიერთ დეტალს, რომლებიც საჭიროა ფერმებში საკვების მექანიზებული მიწოდებისათვის, სარწყულებლების მოსაწყობად და ნაკელის გამოსატანად. მხოლოდ გვაკლია საკვების შესამზადებელი აგრეგატები. ამ საქმეში უნდა დაგვეხმარონ რესპუბლიკური ორგანიზაციები, რომლებსაც ევალებათ მათი შემოტანა.

ჩვენს კოლმეურნეობაში თითქმის მთლიანად მექანიზებულია მინდვრის ყველა სამუშაო: ხვნა, თესვა, პურეულის მოსავლის აღება, ნამჯის გამოტანა და დაწნეხვა, სიმინდისა და მზესუმზირას კულტივაცია და სხვ. წელს ვკისრულობთ სიმინდისა და მზესუმზირას მოსავლის აღებაშიც დავნერგოთ კომპლექსური მექანიზაცია. მხოლოდ საჭირო იქნება ამ მიზნით უახლესი მარკის კომბაინების შემოტანა, რომლებიც ვნახეთ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მოსკოვში.

ჩვენი კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადამ პლენუმის გადაწყვეტილებათა გაცნობის შემდეგ იკისრა ვალდებულება: მტკიცე აგროტექნიკურ ვადებში ჩაატაროს საგაზაფხულო ხვნა-თესვა, ფართოდ გაშალოს მუშაობა ყველა შრომატევად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციისათვის, კოლმეურნეებთან მჭიდრო თანამოქმედებით შვიდწლედის მეორე წელს მოიყვანოს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავალი.

ახლა ვაწარმოებთ ტრაქტორებისა და სხვა მანქანა-იარაღების საზამთრო რემონტს, ვამზადებთ აგრეგატებს საგაზაფხულო სამუშაოებისათვის. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ წარმატებით განვახორციელოთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

გ. დოლიძე,
წითელწყაროს რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის უფროსი მექანიზატორი, ლენინის ორდენოსანი.

უყვარს, გულით უყვარს ამ ბრგე ვაჟკაცს თავისი გაზრდილი ბატკანი და მხარზე დაუსვამს კიდეც. სუფთა, ალალი, მწყემსურია ეს სიყვარული. ბავშვობიდან ცხვარს უვლის ახმეტის რაიონის სოფელ ქვემო ალვანის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის მწყემსი მოსე ალდამიძე.

ფოტო ვ. ყუშიტაშვილისა.

პარტიამ თქვა, შესრულდება!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმი უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო ჩვენი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. პლენუმმა შეაჯამა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის საბჭოთა ხალხის მიერ გაწეული თავდადებული შრომის შედეგები და შეიმუშავა კონკრეტული ღონისძიებები მისი შემდგომი განვითარებისათვის.

პლენუმზე მოსმენილი მოხსენებები, თითოეული გამოსვლა, განსაკუთრებით ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ღრმაშინაარსიანი სიტყვა ჩემთვის, როგორც ამ პლენუმის მონაწილისათვის, უაღრესად დიდმნიშვნელოვანი სკოლა იყო. როდესაც პლენუმის დიდი ტრიბუნიდან ვისმენდი ამა თუ იმ ორატორის სიტყვას, თვალწინ მესახებოდა ჩვენი რაიონის კოლმეურნეობათა აურაცხელი შესაძლებლობანი, რომელთა სრულყოფილად გამოყენება კიდევ უფრო შედეგიანს გახდიდა სოფლის მშრომელთა ნაყოფიერ შრომას, უფრო კარგი მაჩვენებლები გვექნებოდა შვიდწლედის პირველ წელს.

მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის მზადების დღეებში თეთრი წყაროს რაიონის სოფლის მშრომელებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს 1958 წელთან შედარებით, თვალსაჩინოდ გაადიდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება, ღირსეულად დაამთავრეს შვიდწლედის პირველი წელი. პარტიის XXI ყრილობამ თავის ისტორიულ გადაწყვეტილებებში დაგვისახა ნათელი გზები სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებში არსებული ჩამორჩენის დასაძლევად. ამ გადაწყვეტილებათა შესაბამისად ჩვენი რაიონის მშრომელებმა იკისრეს ახალი სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებიც ითვალისწინებენ: **შვიდწლედის განმავლობაში გაადიდონ ხორცის წარმოება 14-ჯერ, ხოლო რძისა — 9-ჯერ. შვიდწლედის ბოლოსათვის ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე აწარმოონ ხორცი 250 ცენტნერი, ხოლო რძე — 650 ცენტნერი.**

კოლმეურნეობების ხელმძღვანელებისა და პარტიული ორგანიზაციების განსაკუთრებული ყურადღება დათმობილი ჰქონდა მთელი ძალების მობილიზაციას შვიდწლედის პირველი წლის დავალებათა შესრულებისათვის. ამ ვალდებულებით შარშან 1958 წელთან შედარებით უნდა გაგვედიდებინა ხორცის წარმოება 4-ჯერ, რძისა — თითქმის 2-ჯერ.

რაიონის პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა თვალსაჩინო მუშაობა გასწიეს ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ საკოლმეურნეო წარმოების მომზადებული და გამოწრთობილი კადრებით განმტკიცების საკითხს. მშრომელთა მოთხოვნით კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად გაგზავნილ იქნენ რაიონის პასუხისმგებელი მუშაკები: რაიკომის ბიუროს და რაიაღმასკომის წევრები, სხვა რაიონული ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებსაც სპეციალური სასოფლო-სამეურნეო განათლება და ხელმძღვანელ სამუშაოზე მუშაობის კარგი გამოცდილება აქვთ. მეცხოველეობის ფერმებს სათავეში ჩაუდგნენ სპეციალისტები, ფერმებში სამუშაოდ გაგზავნილ იქნენ კომუნისტები და კომკავშირელები. ამ ღონისძიებამ თვალსაჩინო როლი შეასრულა წინათ ჩამორჩენილი კოლმეურნეობების წინწამოწევაში, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს ღირსეულად შეხვდნენ ჩვენი რაიონის მშრომელები. მათ პირნათლად შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი ხორცისა და რძის წარმოების დარგში და დიდი გადაჭარბებით გაანაღდეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის დავალებანი.

1958 წელთან შედარებით შარშან თითოეული საფურაჟე ძროხის წველადობა გაიზარდა 400 ლიტრით. ხორცის წარმოების გადიდების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ მეღორეობისა და მეფრინველეობის განვითარებას. მოვაწყეთ საკოლმეურნეობათაშორისო მსხვილფეხა და წვრილფეხა რქიანი პირუტყვის გასასუქებელი პუნქტები, რომლებმაც კარგი შედეგები მოგვცეს. საკმარისია ითქვას, რომ ერთი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის მატებამ ამ პუნქტებში 810 გრამი შეადგინა. ამით მნიშვნელოვნად შემცირდა ყოველი ცენტნერი ხორცის წარმოების თვითღირებულება.

მაგრამ არ შეიძლება მიღწეულით დავკმაყოფილდეთ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა ახალი უდიდესი ამოცანები დაგვისახა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. ამ ამოცანათა შესრულება რომ უზრუნველვყოთ, ახლა აუცილებელია ხელმძღვანელობის კიდევ უფრო მაღალი დონე. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ პარტიულ ორგანიზაციებს მოელით უფრო მეტი მოცულობის მუშაობა, არამედ ისიც, რომ ეს ამოცანები ხარისხობრივად ახალი და უფრო რთულია. სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას რომ მივაღწიოთ, უფრო ღრმად უნდა ჩავწვდეთ თითოეული დარგის ეკონომიურ სარგებლიანობას, ამის საფუძველზე გავადიდოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

„ჩვენ დიდი სიმაღლე და კარგი სიჩქარე ავიღეთ, — ამბობდა ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე. — ამიტომ ახლა უფრო ადვილია გადავიდეთ შემდეგ უფრო დიდ სიჩქარეზე და ავიღოთ ახალი სიმაღლე". ძირითადი და მთავარი ახლა სოფლის მეურნეობაში ის არის, რომ მოვახდინოთ მთელი იმ რეზერვების მობილიზაცია, რომლებიც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებშია.

ჩვენი რაიონისათვის წამყვან დარგს მეცხოველეობა წარმოადგენს. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ჩამორჩება ხორცისა და რძის წარმოება ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე. ჩვენ შესანიშნავი რეზერვები გვაქვს, რომელთა ამოქმედება შესაძლებლობას მოგვცემს დავძლიოთ ჩამორჩენა და მივაღწიოთ იმას, რომ უახლოეს 2-3 წელიწადში ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ვაწარმოოთ მეცხოველეობის ერთიორად მეტი პროდუქტები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილებას და მასალებს რომ გაეცნენ, ჩვენი რაიონის სოფლის მშრომელებმა ერთხელ კიდევ გადახედეს შვიდწლიანი გეგმით 1960 წლისათვის გათვალისწინებულ ვალდებულებებს, აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი, მხედველობაში მიიღეს არსებული რეზერვები და თვალსაჩინო ცვლილებანი შეიტანეს მათში. **შვიდწლედის მეორე წელს შარშანდელთან შედარებით რაიონში ხორცის წარმოება გადიდდება 2-ჯერ, ხოლო რძის წარმოება 45 პროცენტით. მნიშვნელოვნად გაიზრდება პირუტყვის რაოდენობა. მაგალითად, ღორის რაოდენობა გაიზრდება 200 პროცენტით, ფრინველისა — 500 პროცენტით.**

მიმდინარე წელს ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ვაწარმოებთ ხორცს 45,3 ცენტნერის, ხოლო რძეს — 154 ცენტნერის რაოდენობით.

პროცენტებით რომ გამოვხატოთ 1958 წელთან შედარებით 1960 წელს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის რაოდენობა გაიზრდება 123 პროცენტით, მათ შორის ძროხისა — 152 პროცენტით, ხორცის წარმოება სულ 515 პროცენტით, რძისა — 275 პროცენტით. ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე იმავე პერიოდში ხორცის წარმოება გაიზრდება 515, ხოლო რძისა — 257 პროცენტით.

აღნიშნული ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ ჩვენი რაიონის სოფლის მშრომელები, ისევე როგორც საქართველოს ყველა სხვა რაიონის მშრომელები, გამსჭვალული არიან მისწრაფებით წარმატებით განახორციელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანები, ვადაზე ადრე და დიდი გადაჭარბებით შეასრულონ შვიდწლედის დავალებანი, თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ გაშლილი კომუნისტური მშენებლობის საქმეში.

პარტიამ თქვა, შესრულდება! — ასეთია ყველა მშრომელის ურყევი რწმენა.

ა. ბექაური,
საქართველოს კპ თეთრი წყაროს რაიკომის პირველი მდივანი.

თითოეული კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და რაიონის მიხედვით ღონისძიებათა შემუშავების დროს მთავარ ამოცანად ჩაითვალოს რეზერვების გამოვლინება და მობილიზაცია სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების მიზნით. მოწინავე მეურნეობების წარმოების ნოვატორების გამოცდილებაზე, მეცნიერების მიღწევებზე დაყრდნობით უნდა გაითვალისწინონ ტექნიკის უკეთ გამოყენება, მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში პროგრესული ხერხების დანერგვა იმისათვის, რომ უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა, პროდუქციის ერთეულზე სახსრებისა და შრომის დანახარჯების შემცირება და ამ საფუძველზე შვიდწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულება თითოეულ მეურნეობაში. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ 1960 წელს — შვიდწლედის მეორე წელს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების უზრუნველყოფას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილებიდან.

მილიონები, მილიონები...

ჩაქვის ვ. ი. ლენინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი რეზერვების მობილიზაციას ახდენს

მე, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მონაწილე, ახლაც ვიმყოფები ამ დიდი მოვლენის შთაბეჭდილებათა ქვეშ. მთავარი დასკვნა, რომელიც ჩემთვის გავაკეთე, ასეთია: საჭიროა კრიტიკულად შეფასდეს საბჭოთა მეურნეობის მიერ უკანასკნელ წლებში გაწეული მუშაობა და მოწინავე გამოცდილების გათვალისწინებით შემუშავებულ იქნას ღონისძიებანი შვიდწლედის ვადამდე შესასრულებლად.

ჩაქვის ვ. ი. ლენინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობა დიდი სუბტროპიკული მეურნეობაა, რომელშიც, გარდა წამყვანი კულტურის — ჩაისა, განვითარებულია ციტრუსები, ტუნგო და სხვა მრავალწლიანი სუბტროპიკული კულტურები.

ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების პროდუქციის წარმოების მაღალი მაჩვენებლებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ჩვენი მეურნეობის კოლექტივმა თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვა. ამ წარმატებათა ნამდვილი ორგანიზატორები იყვნენ კომუნისტები, საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაცია, რომელმაც პარტიულ-პოლიტიკური და მასობრივ-სააგიტაციო მუშაობის ფართოდ გაშლით შეძლო დაერაზმა მეურნეობის კოლექტივი დიადი შვიდწლედის ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის.

თუ 1957 წელს საბჭოთა მეურნეობამ მოკრიფა 1.895 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ანუ 4.441 კილოგრამი თითოეულ ჰექტარზე, 1959 წელს ჩვენ მოვკრიფეთ 2.250 ტონა, ე. ი. 265 ტონით მეტი, ვიდრე 1957 წელს. თითოეულ ჰექტარზე მოკრეფილია 4.602 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად ყველა სუბტროპიკულ საბჭოთა მეურნეობებში მოკრეფილი 3.244 კილოგრამისა. ამას გარდა მოკრეფილია ჩაის უხეში ფოთოლი 516 ტონა — გეგმის 101,1 პროცენტი, მასალა აგურა ჩაისათვის — 92 ტონა, კოფეინის დასამზადებლად — 257 ტონა. მოკრეფილია 6,5 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, დამზადებულია 122 ათასი ცალი ბამბუკის ლერწამი. ასევე გადაჭარბებით სრულდება ტუნგოს ნაყოფის მოკრეფისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალებანი.

კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწიეს მეურნეობის მოწინავე ადამიანებმა — უხვი მოსავლის ოსტატებმა. ასე, მაგალითად, ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი აგროტექნიკოსი გ. დიასამიძე ხელმძღვანელობს, 15 ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე მოკრიფა 7.010 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. აღნიშნული ბრიგადა წარმატებით იბრძვის კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო წოდების მოსაპოვებლად. კომუნისტმა აგროტექნიკოსმა გ. ჯიქიძემ თავის ბრიგადაში 17 ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე მოკრიფა 5.600 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. მეჩაიემ, სოციალისტური შრომის გმირმა კომუნისტმა ტატიანა ცინცაძემ სეზონში მოკრიფა 5.405 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, რითაც გამომუშავების გეგმა 240 პროცენტით შეასრულა. ჩვენი მეურნეობის ერთ-ერთმა „უხუცესმა" ჩაის მკრეფავმა, რაისაბჭოს დეპუტატმა პელაგია ვიშნიაკოვამ შარშან მოკრიფა 4.410 კილოგრამი ჩაის მაღალხარისხოვანი ფოთოლი და ამით დავალებას 160 პროცენტით გადააჭარბა.

საბჭოთა მეურნეობის მუშების თავდადებულმა შრომამ, მაღალი აგროტექნიკის გამოყენებამ, შრომის ორგანიზაციისა და წარმოების გაუმჯობესებამ მეურნეობის კოლექტივს საშუალება მისცა მიეღწია მაღალი ეკონომიური მაჩვენებლებისათვის. 1958 წელს საბჭოთა მეურნეობამ მთელი პროდუქციის რეალიზაციით მიიღო 16.443.600 მანეთი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 16.044,200 მანეთისა. მოგებამ შეადგინა 5.561,7 ათასი მანეთი. 1959 წელს პროდუქციის რეალიზაციით მიღებულია 17.129 ათასი მანეთი. გეგმიანი მოგება 5.956.800 მანეთზე მეტი იქნება.

საერთო პროდუქციის შემდგომი ზრდა და მოსავლიანობის გადიდება როგორც ჩვენს, ისე სხვა ჩაის საბჭოთა მეურნეობებში მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ჩვენს წინაშე მდგომი მთელი რიგი გადაუდებელი საკითხების გადაწყვეტაზე.

უწინარეს ყოვლისა, პლანტაციებში შესატანი მინერალური, განსაკუთრებით აზოტის სასუქის მთელი ეფექტურობა დამოკიდებულია მის დროზე შეტანაზე. მაგრამ აზოტის სასუქის ფონდი 1960 წლისათვის ისეა გამოყოფილი, რომ მათი პირველი დოზის შეტანა პლანტაციებში ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. სანამ გვიან არ არის, ამ საკითხის მოგვარებას ახლავე უნდა მიექცეს ყურადღება.

შემდეგ სერიოზული დახმარება გვესაჭიროება ამორტიზაციაქმნილი ავტომანქანების შეცვლისა და მეურნეობის ავტოპარკის შევსების საქმეში. უამისოდ გაგვიჭირდება როგორც მინერალური სასუქების შეტანა პლანტაციებში, ისე მოკრეფილი ჩაის ფოთლის დროზე გადატანა ფაბრიკებში. თავისებური კლიმატური პირობები, იმის აუცილებლობა, რომ წვიმიან ამინდებში ვაწარმოოთ პლანტაციებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები და ჩაის ფოთლის კრეფა, აყენებს საკითხს აუცილებლად უზრუნველვყოთ მუშები უნივერსალური სპეცტანსაცმლით და ფეხსაცმლით. ეს საკითხი არაერთხელ ყოფილა დასმული, მაგრამ დღემდე არ არის დადებითად გადაწყვეტილი. უკვე დროა ქმედითი ღონისძიებანი განხორციელდეს ამ საკითხის ახლავე მოსაგვარებლად.

ჩვენ მეტად არსებითი პრეტენზიები გვაქვს სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს და მისი სპეციალისტების მიმართ. მართალია, მათ დიდი მუშაობა აქვთ გაწეული ჩაის მეურნეობისათვის საჭირო მანქანების შესაქმნელად, მაგრამ მათ მიერ დღემდე შექმნილ მანქანებს მუშაობა შეუძლიათ მხოლოდ სწორი და ბრტყელი რელიეფის პირობებში. ჩვენს მეურნეობას კი იმის გამო, რომ მისი ფართობი რთული რელიეფისაა, არ შეუძლია გამოიყენოს არსებული მანქანები, რის გამო ყველა სამუშაოს შესრულება ხელით გვიხდება. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია სპეციალურმა საკონსტრუქტორო ბიურომ შექმნას ისეთი მანქანების ნიმუშები, რომლებსაც შეეძლებათ დაქანებულ რელიეფზე მუშაობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა დასახა გაშლილი ღონისძიებანი ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის. ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და სპეციალისტებმა პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებანი თავიანთ საბრძოლო პროგრამად მიიღეს და უკვე შეუდგნენ მათი წარმატებით განხორციელებისათვის დაძაბულ შემოქმედებით შრომას. ჩვენი მეურნეობის კოლექტივმა, რომელმაც წარმატებით გადალახა შვიდწლედის პირველი წლის ზღუდეები, 1960 წლისათვის იკისრა შემდეგი სოციალისტური ვალდებულებანი:

შვიდწლედის მეორე წელს გეგმის გადამეტებით მოკრიფოს და სახელმწიფოს მიჰყიდოს 100 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი; თითოეული ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის თვითღირებულება შეამციროს 2 პროცენტით და სახელმწიფოს მისცეს სუფთა მოგება 6 მილიონი მანეთის რაოდენობით.

ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი ამ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებით თავის ღირსეულ წვლილს შეიტანს შვიდწლიანი გეგმით დასახული ამოცანების განხორციელებაში.

ლ. წულუკიძე,
ჩაქვის ვ. ი. ლენინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

სამგორის საჯიშე მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობაში ნაყოფიერად მუშაობენ ფრინველის გაზრდის დავალებათა შესასრულებლად. მეურნეობაში ათასობით არის პეკინის ჯიშის იხვები, რომლებისთვისაც სპეციალურად მოწყობილია ხელოვნური ტბა. **სურათზე:** პეკინის ჯიშის იხვები ხელოვნურ ტბაზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ყველა რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში არის წარმოების ათასობით ნოვატორი. რომლებიც გვიჩვენებენ შრომის მაღალი ნაყოფიერების ნიმუშებს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში. მათი შესანიშნავი მაგალითი სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს აღაფრთოვანებს ახალი საგმირო საქმეების შესასრულებლად სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, ჩვენს ქვეყანაში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლაში.

მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, წარმოების ნოვატორების გამოცდილება, მათი მიღწევები სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდებაში იმის რწმენას გვინერგავს, რომ შვიდწლედის დავალებანი და მათი ვადამდე შესრულების ვალდებულებანი შეიძლება წარმატებით განახორციელოს თითოეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ, თითოეულმა ოლქმა და რესპუბლიკამ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილებიდან.

„სასწაულმოქმედი“

ფელეტონი

არ მახსოვს, ვინ მომიყვა ამ ამბავს... თუმცა ისე კარგად კი მომიყვა, რომ ღრმად ჩამებეჭდა მეხსიერებაში. თურმე ერთ რაიონში მუშაობდა საკმაოდ მოხერხებული ექიმბაში. რას არ „მკურნალობდა“, ვის არ „მკურნალობდა“ იგი. აკეთებდა ოპერაციას, აზავებდა სხვადასხვა მალამოს, ნაყავდა ბალახებს, აყენებდა წამლებს...

და ავადმყოფებიც მიდიოდნენ და მიდიოდნენ... უკან კი თავისი ფეხით ვერავინ ბრუნდებოდა, რომ იტყვიან, მიქელგაბრიელი უდროოდ იბარებდა მათ სულს.

ერთხელ მოთმინებიდან გამოსულმა ჭირისუფლებმა შეუტიეს: „რას ჩადიხარ, კაცოო!“

ამაზე ექიმბაში გაბრაზდა თურმე. ბალახების ნაყვას თავი მიანება, წამლები გადაღვარა და ჭირისუფლებს უკმეხად უპასუხა: „თქვე ოჯახაშენებულებო, რაღა იმათ ითვლით, რომლებსაც ბედმა უმტყუნა და სასულე ორკესტრით სასაფლაოსკენ გააცილეს, ერთი ისიც დაითვალეთ, რამდენი შინისაკენ ფეხაკრეფით წავიდა.

არ ვიცი, ეს ამბავი გაუგონია თუ არა ქალაქ ცხაკაიაში მომუშავე ექიმს ვ. პ. ჯღარკავას, მაგრამ მის პაციენტებს შორის ბევრს რომ უდროოდ დასჭირდა სასულე ორკესტრით იმ ქვეყანაში გაცილება, ეს კი ფაქტია. დიახ ფაქტია... მაგრამ სჯობს თავიდან დავიწყოთ.

ორიოდე წლის წინათ ქ. ცხაკაიაში ხმა დაირხა „ექიმი ვ. ჯღარკავა ყველა დაავადებას არჩენსო“.

— კი, შენი ჭირიმე, პირდაპირ მკვდარს აცოცხლებს, — ამბობდნენ ერთნი.

— მთლად ხელჩაქნეული, ორივე ფეხი სამარეში რომ ედგა, ბატონო ჩემო, ისეთი კაციც ამ ქვეყნად დაუბრუნებია, — კვერს უკრავდნენ მეორენი. და ვინ მოსთვლის, კიდევ რას არ ამბობდნენ. ამბობდნენ, და მიდიოდა ხალხი ჯღარკავას „კლინიკისაკენ“. საიდან არ მოჰყავდათ ავადმყოფები... ზოგი გულს უჩიოდა, ზოგი კუჭნაწლავს, ზოგს მაღალი წნევა აწუხებდა, ზოგს თირკმელების ტკივილი. აქ ნახავდით ნერვულ ავადმყოფსა და კიბოთი დაავადებულ ადამიანებს... ერთი სიტყვით, ქალაქ ცხაკაიას მოევლინა უნივერსალური მკურნალი. სასწაულმოქმედი კაცი, ბიბლიისა არ იყოს, ისეთი კაცი, ბრმას ხელს რომ დაადებდა — თვალებს აუხელდა, ჭრილობას სულს რომ შეუბერავდა — გაამთელებდა.

მაგრამ ჯღარკავა არც ისეთი კაცია, რომ ხელი დაედო ვინმესთვის და თვალი აეხილა, პირიქით კვერთხი ისე მოიქნია, რომ პაციენტები სულ ერთთავად დააბრმავა, დააბრმავა და გააკეთა თავისი საქმე.

მოჰყავდათ ავადმყოფები — ისიც სინჯავდა, „მკურნალობდა“, მერე სამუდამოდ „განკურნებულ“ ავადმყოფს ჭირისუფლები მიასვენებდნენ... ჯღარკავას პირად ანგარიშში კი ათ თუმნიანები შედიოდა და შედიოდა. ერთ წელიწადში იგი ასეულ ათასებად იქცა, შემდეგ კოპწია რვათვალიან სახლად.

ყველაზე პირველად მოქალაქე ა. კ. ბალიაშვილს აეხილა ჯღარკავას მიერ დაბრმავებული თვალი, დაჯდა და ასეთი წერილი დაწერა: „ჭორს ავყევი, გავსულელდი და ჯღარკავას ჩავუგდე ხელში თვრამეტი წლის ვაჟიშვილი. მან ისეთი წამლები დაუნიშნა, რომ მორჩენის ნაცვლად უფრო დაასნეულა. მიშველეთ რამე“.

ყვიროდა მოქალაქე ვ. ფირცხალავაც. „ექიმმა ჯღარკავამ, — იწერება იგი, — დედაჩემს არც წნევა გაუზომა, არცა ჰკითხა, რა ავადმყოფობას უჩიოდა, მოსვლისთანავე კანქვეშ გაუკეთა რაღაც ხსნარი, შემდეგ ზედ მიაყოლა ერთი ამპულა „პანტაპონი“. ჩემს ძმას საჩქაროდ გამოართვა ფული, ჩაჯდა მანქანაში და წავიდა. სოფლიდან ერთი კილომეტრი არ ექნებოდა გავლილი, რომ დედაჩემი გარდაიცვალა.

მალე ცხაკაიელი ქ. ჯაიანიც გამოფხიზლდა. „მაქვს კუჭის დაავადება, — წერს იგი. — ექიმმა ჯღარკავამ გამსინჯა და მითხრა, აუცილებლად მოგარჩენო. გამიხარდა. სხვას არ ენდო და თვითონვე გამიკეთა ორმოცი ნემსი (რა სითხე იყო ეს ღმერთმა იცის). პირველად მართლა კარგად ვიგრძენი თავი, მაგრამ გავიდა რამდენიმე დღე, და ისე მწარედ შემოსტია ტკივილებმა, რომ პირდაპირ სიკვდილის პირამდე ვარ მისული. ორმოცი ნემსი რა ტყუილუბრალოდ დამარტყეს!.. თუმცა ახია ჩემზე“.

ასეთი წერილები ერთი და ორი როდი მოდის. მართლაც ახია მათზე, ვინც ასე ბრმად წამოეგო ჯღარკავას ანკესებს. ამბობენ, ჯღარკავას ანკესებს არა მარტო რიგითი, არამედ ზოგიერთი ადგილობრივი ხელმძღვანელი მუშაკიც წამოეგოო.

უადგილო როდი იქნება გავაცნოთ ჯღარკავას ყველა პაციენტს, თუ როგორ დახასიათებას აძლევს ამ „სასწაულმოქმედ“ ექიმს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტი.

„ექიმი ვ. ჯღარკავა, — გვამცნობს დახასიათება, — მივლინებული იყო ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში თერაპიის პირველ კათედრაზე ორი თვის ვადით. კლინიკაში ექიმ ჯღარკავას დაევალა ავადმყოფების კურაცია და მონაწილეობა კლინიკის ყოველდღიურ საქმიანობაში.

პროფესორი, დოცენტი, ასისტენტი ხშირად ესაუბრებოდნენ მას ავადმყოფის საწოლთან წამოჭრილი თეორიული და პრაქტიკული საკითხების გამო, ეწყობოდა კლინიკურად საინტერესო ავადმყოფობათა გარჩევა. ყოველივე ამის შედეგად დადგინდა, რომ ვიქტორ პორფილეს-ძე ჯღარკავას მომზადების დონე დაბალია და აუცილებელია მისი კვალიფიკაციის ამაღლება“.

იქნებ ამის შემდეგ მაინც გამოფხიზლდნენ ჯღარკავას „სასწაულმოქმედებით“ გაბრუებული პაციენტები.

ბ. ეკალაძე.

აი რაზე გვტკივა გული

◆ **გორის** რაიონის სოფელ ახალდაბის მცხოვრებლებს არა აქვთ სასმელი წყალი. ეს არაერთხელ გაგვიხსენებია ადგილობრივი ხელმძღვანელობისათვის, მაგრამ ამაოდ... წყლის მოზიდვა შორიდან გვიხდება, ისიც მდინარის გაუფილტრავი წყალია.

ა. ნაცვლიშვილი.

◆ **წალენჯიხის** რაიონის სოფელ ორჯონიკიძეში წინათ იყო პურის საცხობი. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ იგი დაანგრევინა, კოლმეურნეებს კი ახლის აშენებას შეპირდა, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა.

ხ. ქარდავა.

◆ **გორის** რაიონის სოფელ ხელთუბნის სკოლაში მისასვლელი გზა მოუვლელია, უამინდობაში ბავშვები მუხლებამდის იფლობიან ტალახში.

მოსწავლეები: **ტ. ანესაშვილი, ნ. ტერტერაშვილი.**

◆ **სოხუმის** რაიონში კელასურიდან ბაღმარანისაკენ მიმავალი გზა გაფუჭებულია, რის გამო ძნელდება ტრანსპორტის მიმოსვლა.

ნ. კარტოზია, ი. ბაბუნია, მ. ბუჩუა.

ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის წარჩინებულ მქსოველთა რიგებში დგას ახალგაზრდა ფეიქარი მერი შუბითიძე, რომელიც ყოველდღიურ დავალებას 170-180 პროცენტით ასრულებს.

ფოტო ბ. დადვაძისა.

„დედამიწა და ადამიანები“

გამოიცა გეოგრაფიული ყოველწლიური კალენდარი „დედამიწა და ადამიანები“ 1960 წლისა. იგი განკუთვნილია ყველა იმათთვის, ვისაც აინტერესებს გეოგრაფია, ცდილობს შეისწავლოს მშობლიური ქვეყნის ბუნება, გაეცნოს ადამიანთა ცხოვრებას დედამიწის სხვადასხვა კუთხეში, დიად აღმოჩენათა და დედამიწის კვლევის ისტორიას. კალენდარში მოთავსებული ბევრი ნარკვევი, სტატია და წერილი მიძღვნილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარებისადმი, შვიდწლედის ახალშენებებისადმი.

ყოველწლიური საინტერესოდ და ლამაზად გაფორმებულია. მის ფურცლებზე არის ბევრი ორიგინალური ნახატი, ფოტოსურათი და რუკა.

კალენდარს დართული აქვს 12 რუკა, რომლებიც მკითხველებს აცნობენ ბუნების დიდმნიშვნელოვან სეზონურ ცვლილებებს სსრ კავშირის ტერიტორიაზე. (საკდესი).

მისალმებანი

პოლუსზე ლაშქრობის მონაწილეებისადმი

საბჭოთა ექსპედიციის მიერ 1959 წლის 26 დეკემბერს სამხრეთ პოლუსის მიღწევამ და ამ ლაშქრობის დროს ანტარქტიკის მკაცრ პირობებში განხორციელებულმა ვრცელმა მეცნიერულმა კვლევამ აღტაცება გამოიწვია მთელ მსოფლიოში.

ანტარქტიკის შემსწავლელმა საბჭოთა საუწყებათაშორისო კომისიამ ვაშინგტონიდან მიიღო მისასალმებელი წერილი, რომელშიც დოქტორი ლ. გულდი, ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებათა აკადემიის პოლარული კვლევის კომიტეტის თავმჯდომარე „ულოცავს სსრ კავშირის მეცნიერთა რაზმს, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ დაამთავრა დიდმნიშვნელოვანი ლაშქრობა სამხრეთ გეოგრაფიულ პოლუსზე“.

გამოჩენილმა ინგლისელმა პოლარულმა მოგზაურმა დოქტორმა ვ. ფუქსმა, რომელმაც 1957-1958 წლებში გაიარა მთელი ანტარქტიდა, საბჭოთა მკვლევარებს თავის საახალწლო წერილში „უსურვა ყოველივე კარგი“. დოქტორი ფუქსი ულოცავს საბჭოთა ექსპედიციის უფროსს ა. დრალკინს „წარმატებით კონტინენტალურ ლაშქრობას სამხრეთის პოლუსზე“.

დეპეშაში, რომელიც მელბურნიდან გამოგზავნილია ანტარქტიკის შემსწავლელი საუწყებათაშორისო კომისიის თავმჯდომარის აკადემიკოს დ. შჩერბაკოვის სახელზე, ავსტრალიის ანტარქტიკის კვლევის ექსპედიციის მეთაური დოქტორი ფ. ლოუ სსრ კავშირის ანტარქტიკის ექსპედიციას უსურვებს წარმატებებს 1960 წელს და ულოცავს მირნი-სამხრეთ პოლუსის ლაშქრობის ჩინებულად შესრულებას“.

მოსკოვში მიღებულია აგრეთვე საფრანგეთის, ბელგიის, ახალი ზელანდიისა და სხვა ქვეყნების ანტარქტიკის კვლევის ეროვნული კომიტეტების მისასალმებელი წერილები სამხრეთ პოლუსის წარმატებით მიღწევის გამო. (საკდესი).

ექსპრეს-ინფორმაცია

ვ. ი. ლენინის სახელობის სსრ კავშირის სახელმწიფო ბიბლიოთეკა 1960 წლიდან იწყებს წიგნის პოპულარიზაციის ახალ ფორმას — ექსპრეს-ინფორმაციას მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის.

ექსპრეს-ინფორმაციაში წარმოდგენილი იქნება ცნობები აქტუალურ საკითხებზე დაწერილი საუკეთესო ახალი წიგნების შესახებ, რომლებიც მასობრივმა ბიბლიოთეკებმა უნდა გაავრცელონ მკითხველებში.

ვ. ი. ლენინის სახელობის სსრ კავშირის სახელმწიფო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სამეცნიერო-მეთოდური განყოფილება, რომელიც აწყობს ამ სამუშაოს, ადგილებზე ექსპრეს-ინფორმაციის ბიულეტენების მიღების კვალობაზე, ურჩევს ბიბლიოთეკებს აუწყონ ადგილობრივ გაზეთებსა და რადიოკომიტეტებს მათი შინაარსი.

პირველ ასეთ ბიულეტენში, რომელიც ბიბლიოთეკებს გაეგზავნება, ჩამოთვლილი და ანოტირებულია პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ გამოცემული ახალი წიგნები — მ. გორკის, ნ. გორბუნოვის, ა. კოლონტაის, ა. ლუნაჩარსკის, ე. ონუფრიევის, ნ. სემაშკოს, კ. ცეტკინისა და მ. ესენის მოგონებანი ვ. ი. ლენინთან შეხვედრებისა და საუბრების შესახებ.

ბიულეტენი აგრეთვე იუწყება, რომ გამოვიდა ბიბლიოგრაფიული და მეთოდური მასალების კრებული „ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა და მის შესახებ ლიტერატურის პროპაგანდის დასახმარებლად“, რომელიც მოამზადა ვ. ი. ლენინის სახელობის სსრ კავშირის სახელმწიფო ბიბლიოთეკამ. (საკდესი).

ნაპოვნი საუნჯენი

ჩვენი საუკუნის დასაწყისში მუსიკით გატაცებულ პარიზს აოცებდა უცნობი ხელოვანი „ნიკტოს“ ფსევდონიმით. იგი ბრწყინვალედ ასრულებდა შოპენისა და ლისტის ნაწარმოებებს. მას მოთხრობების წერაც ემარჯვებოდა თურმე.

ვინ იყო ეს „ნიკტო“? ვარაუდობენ, ამ იდუმალ სახელს ვინმე ქართველი კაცია ამოფარებულიო. მისი ვინაობა მაინც ამოუცნობი რჩება.

თითქმის ასეთივე უცნობი „ნიკტო“ იყო ჩვენთვის საზღვარგარეთ მყოფი ბევრი ქართველი ხელოვანი. დღემდის არ გვქონდა თავმოყრილი და ერთად შეკრული ცნობები უცხოეთში მოასპარეზე ქართველ ხელოვანთა შესახებ. ასეთი ცნობების შეკრება კი დიდი ხანია საჭირო იყო.

ამ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს ამირან ცამციშვილის ბროშურა — „ხელოვნების ქართველი მოღვაწენი უცხოეთში“, რომელიც გამოცემულია საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების სერიით.

ბროშურა მცირე მოცულობისაა, სულ 48 გვერდია. იგი ფრიად საინტერესოა, გვაწვდის ფართო საზოგადოებრიობისათვის აქამდის უცნობ მასალებს. ცხადია, ყოველივე ეს ბროშურის ღირსებად ჩაითვლება.

როგორც ჩანს, დიდი შრომა გაუწევია ავტორს. წლების მანძილზე მას საგულისხმო მასალა შეუკრებია როგორც საქართველოს, ისე მოსკოვის არქივ-მუზეუმებში და წიგნსაცავებში. არც მემუარები და კერძო საოჯახო არქივები დაუტოვებია გაუსინჯავი.

ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბროშურა მხატვრულად სასიამოვნო ენით არის დაწერილი, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ გაუმართავ, ბუნდოვან წინადადებას ბოლო ნაწილში. ვის შესახებ არ არის ლაპარაკი ამ ბროშურაში: მომღერალ კარბელზეც (კარბელაშვილზე), ქართულ ცეკვათა ცნობილ ოსტატ ქალ ე. ჩერქეზიშვილზე, მომღერალ ე. თარხნიშვილზე, ფ. ქორიძეზე, ვ. ქამაკაშვილის უცხოეთში მოღვაწეობის პერიოდზე და სხვ.

ავტორი თავის ბროშურას ორ ნაწილად ჰყოფს: ერთი ნაწილი ეხება ქართველ მომღერალ-ინსტრუმენტალისტებს, მეორე — ქორეოგრაფებს, რომლებიც წარმატებით გამოდიოდნენ სხვადასხვა დროს ევროპის, ამერიკისა თუ აზიის სცენებზე.

საგულისხმოა, რომ ავტორი ორივე განყოფილების წინ საინტერესო მიმოხილვას აკეთებს როგორც ქართული მუსიკის, ისე ქართული ცეკვის ისტორიიდან.

მომღერალთა, ქორეოგრაფთა გარდა, ა. ცამციშვილი გაკვრით გვიამბობს ქართული კულტურის სხვა მოღვაწეებზეც, რომლებიც თავის დროზე საზღვარგარეთ იმყოფებოდნენ, მაგალითად ირანში მოღვაწე მხატვრებზე: სიაუშბეგზე (XVI საუკ.), ჯაბადარზე (XVIII ს.), ასევე იტალიაში ქართული წიგნის ბეჭდვის დამწყებისა და ქართული სტამბის დამაარსებლის ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის (ირბახის) მოღვაწეობაზე (XVII საუკ.) და სხვ.

ვფიქრობთ, ცუდი არ იქნებოდა, რომ ავტორს უფრო მეტი ფაქტობრივი მასალა გამოეყენებინა.

კარგი საქმეა წამოწყებული. საჭიროა მისი გაღრმავება და კიდევ ახალი მონაცემებით შევსება. საქმე ბევრია ამ დარგში. თუნდაც ვინმე „ნიკტოს“ ვინაობის დადგენა, ან იმ ფირფიტების მიკვლევა, რომლებზეც სარაჯიშვილის ტკბილი სიმღერებია აღბეჭდილი.

ვინ იცის, კიდევ რამდენი ახალი სახელი და ფაქტი ამოტივტივდება. საქმე მონდომება და ხელის მიწვდენაა. კარგ წამოწყებას გაგრძელება უნდა.

გ. წერეთელი.

* * *

პირველ სურათზე აღბეჭდილია ცნობილი მოცეკვავე ელენე ჩერქეზიშვილი, რომელმაც ამ საუკუნის დასაწყისში ევროპა შემოიარა და ფართოდ გაუთქვა სახელი ქართულ საცეკვაო ხელოვნებას.

მეორე სურათი გადაღებულია 1895 წელს პარიზში. ქართული ცეკვის მგზნებარე შემსრულებლებმა ალექსი სონღულაშვილმა და გიორგი საფაროვმა იმ დღეთა სამახსოვროდ გადაიღეს.

მესამე სურათზე მარტო ალექსი სონღულაშვილია აღბეჭდილი პარიზის ერთ-ერთი თეატრის სცენაზე გამოსვლის დროს.

„მშვიდობა რუსეთთან?“

ა. ჰარიმანის წიგნიდან

ავერელ ჰარიმანი დიდი ხანია იჩენს ინტერესს საბჭოთა კავშირისადმი. ჯერ კიდევ 1924 წელს მან ბიზნესმენ პარტნიორთა ჯგუფთან ერთად მოაწყო კონცესია საბჭოთა კავშირში მარგანეცის საბადოების დასამუშავებლად. ორი წლის შემდეგ იგი ამ კონცესიის საქმეების გამო ჩამოვიდა მოსკოვში, და ამავე დროს, მისი სიტყვით, სურდა შეემოწმებინა ხმები მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს თითქოს მოახლოებული კრახის შესახებ, რასაც მაშინ საბჭოთა კავშირის მტრები ავრცელებდნენ. ჰარიმანი მაშინ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ასეთ წინასწარმეტყველებას არავითარი საფუძველი არა აქვს. 1943 წლიდან 1946 წლამდე ჰარიმანი იყო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საბჭოთა კავშირში. 1959 წლის ზაფხულში ჰარიმანი ჩამოვიდა სსრ კავშირში როგორც ტურისტი და კარგა ხანს იმოგზაურა საბჭოთა კავშირში. თავის შთაბეჭდილებებს იგი გადმოსცემს წიგნში „მშვიდობა რუსეთთან?“, რომელიც „საიმონ ენდ შუსტერის“ გამომცემლობამ ნიუ-იორკში გამოსცა.

ჰარიმანი არა მალავს, რომ სიმპათიით არ ეკიდება საბჭოთა კავშირს. იგი თითქმის თავმოწონებით იხსენებს, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ელჩად იყო სსრ კავშირში, ერთ-ერთი პირველი გამოდიოდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ „ცივ ომზე“ გადასვლის მომხრედ. ჰარიმანი დაჟინებით ურჩევდა ამერიკის მთავრობას იმ პოლიტიკას, რომელმაც შემდგომში განხორციელება ჰპოვა ყბადაღებულ მარშალის გეგმაში. საბჭოთა კავშირში იგი ყველაფერს სრულიადაც არ უყურებდა მეგობრული თვალით. იგი ცდილობდა ყველგან გამოენახა უარყოფითი მხარეები და ხშირად ხედავდა ჩრდილს იქ, სადაც არ არის. ნიუ-იორკელ მოგზაურს, რა თქმა უნდა, არ ახარებს საბჭოთა ხალხის უდიდესი წარმატებანი კომუნისტურ მშენებლობაში. საბჭოთა ეკონომიკის სწრაფ განვითარებას იგი საბჭოთა კავშირის „ინდუსტრიულ ექსპანსიას“ უწოდებს. მის დიდ შეშფოთებას იწვევს გავლენა, რომელსაც შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკების აყვავება მოახდენს იმ ქვეყნებზე, რომლებმაც ეს-ეს არის თავი დააღწიეს კოლონიურ მონობას და ახალი ცხოვრება სწყურიათ. ჰარიმანი ცდილობს სსრ კავშირის მშვიდობიანი მშენებლობა, მისი ძალისა და ძლიერების ზრდა დასახოს როგორც „საფრთხე“ კაპიტალისტური სამყაროსათვის.

მით უფრო ძვირფასია მხილველის აღიარება, რომელიც ძალაუნებურად უხდება სამსახურიდან გადამდგარ ამერიკელ დიპლომატს. ჰარიმანის მოგზაურობა საბჭოთა კავშირში — ეს არის ფაქტებთან პირისპირ შეხვედრა. და ჰარიმანს არ შეუძლია არ აღიაროს ფაქტები. „საბჭოთა კავშირში გავატარე ექვს კვირაზე მეტი, გავიარე 18 ათასამდე მილი თვითმფრინავით, მატარებლით, გემითა და ავტომობილით (და საკმაოდ ბევრი ვიარე ფეხითაც), — წერს ჰარიმანი. — მე ვიყავი ცენტრალურ რუსეთში, უკრაინაში, ვოლგის რაიონში, ყაზახეთის ველებში და ურალის სამრეწველო რაიონში. ბოლოს, საბჭოთა რეაქტიული თვითმფრინავით გავფრინდი სამი ათას მილს იქით ციმბირში, რათა დამეთვალიერებინა ერთ-ერთი გიგანტური საბჭოთა მშენებლობა, რომელსაც საბჭოები აწარმოებენ ტაიგაში ბაიკალის ჩრდილოეთით. ბევრი ქალაქი და მშენებლობა, რომლებიც მე ვნახე, უცხოელებისათვის დახურული იყო. ზოგიერთი მათგანი მანამდე არ ენახა არცერთ ამერიკელს.

მე ვესაუბრე ასობით ფერმერ-კოლექტივისტსა და ქარხნის მუშას, მუნიციპალური და საოლქო ხელისუფლების წარმომადგენლებს, მეცნიერებს, პროფესორებს, ეკონომისტებსა და მგეგმავებს. ეს ფართო დისკუსიები დამთავრდა ხანგრძლივი საუბრებით კრემლში მთავრობის წამყვან წარმომადგენლებთან, და, ბოლოს, ბ-ნ ხრუშჩოვთან რამდენიმე საუბრით, რომლებიც მრავალ საათს გრძელდებოდა!“

ავტორი აღნიშნავს უდიდეს შემოქმედებით მუშაობას, რომელიც საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გასწია თხუთმეტი წლის მანძილზე ომის შემდეგ. „როცა საბჭოთა კავშირში 1946 წელს ამერიკის ელჩად ვიყავი, — წერს იგი, — საბჭოთა კავშირის მეტი ნაწილი მისი დასავლეთი საზღვრებიდან სტალინგრადამდე 1500 მილზე აღმოსავლეთით ნანგრევებს წარმოადგენდა. მისი მინდვრები გადაბუგული და უნაყოფო იყო. ბევრი სოფელი მთლიანად იყო გადამწვარი. ქარხნები, რომლებიც ურალში არ იყო ევაკუირებული, მოსპობილი იყო. მაგრამ რუსი ადამიანები თავიანთი შესანიშნავი ენერგიით კვლავ თესავდნენ ველებში ხორბალს; მათ ხელახლა ააშენეს სოფლები და მოახდინეს მრეწველობის რეკონსტრუქცია. სსრ კავშირიდან წასვლის შემდეგ (1946 წელს. — რედ.) თვალყურს ვადევნებდი ცნობებს იმის შესახებ, რომ საბჭოთა ეკონომიურმა ძლიერებამ გადაამეტა ომამდელ დონეს და ხალხის ცხოვრების დონე უფრო მაღალია, ვიდრე რევოლუციის შემდეგ ოდესმე იყო. თანამგზავრმა ცხადყო მათი მეცნიერების გენია და მათი ინჟინრების ოსტატობა“.

ავტორი იძულებულია ზედიზედ უკუაგდოს მითები საბჭოთა კავშირის შესახებ, რომლებსაც რეაქციული პროპაგანდა ავრცელებს. „ამერიკელები ზოგჯერ ამბობენ — ამასთან ისეთი ადამიანებიც კი, რომლებსაც მაღალი სახელმწიფო პოსტები უჭირავთ, — რომ საბჭოთა ხალხი ისეთ მდგომარეობაშია, რომელიც ბუნტს უახლოვდება. კომუნისტი ხელმძღვანელები კრემლში, ამბობენ ისინი, თოფისწამლის კასრზე სხედან. თუ დასავლეთი ამის ხელს შეუწყობს, საბჭოთა ხალხი მზად არის აღდგეს და კომუნისტური რეჟიმი დაამხოს. მე ვერ აღმოვაჩინე ვერავითარი დამამტკიცებელი საბუთი, რომელიც ასეთ თეორიას ადასტურებდეს...

საბჭოთა ხალხის უდიდესმა მასებმა, ჩემი აზრით, მიიღეს კომუნისტური რეჟიმი ან ყოველ შემთხვევაში დაეთანხმნენ მას და აზრადაც არ მოსდით მისი დამხობა...

თუმცა ამერიკელები რუსების ცხოვრებას ვერ მიიჩნევდნენ როგორც იოლს, მაგრამ თვით რუსებს, როცა ისინი თვალს ავლებენ წარსულს, ეს ცხოვრება ნამდვილ პროგრესად წარმოუდგებათ... თავიანთი პროგრესი მათ მიაჩნიათ დიდ საერთო-სახელმწიფოებრივ მიღწევად, რომლითაც ძალიან ამაყობენ“.

ავტორი იძულებულია ამხილოს აგრეთვე მითი იმის შესახებ, რომ „საბჭოთა ეროვნული უმცირესობანი — უკრაინელები, ბელორუსები, უზბეკები ან ტაჯიკები მოცული არიან მძაფრი უკმაყოფილებით“. ავტორი აღნიშნავს, რომ ინახულა საბჭოთა კავშირის ხუთი ეროვნული რესპუბლიკა და იქ ვერ იპოვნა ამ „თეორიის“ დადასტურება.

ავტორი ლაპარაკობს საბჭოთა ტაჯიკეთზე, რომელმაც რევოლუციის შემდეგ „განავითარა მაღალხარისხოვანი ბამბისა და ქსოვილების წარმოებაზე დაყრდნობილი აყვავებული ეკონომიკა“.

„როცა ოცდაათი წლის წინათ შეიქმნა ეს რესპუბლიკა, ხოლო სტალინაბადი არჩეულ იქნა მის დედაქალაქად, იგი წარმოადგენდა შუააზიურ სოფელს რამდენიმე ათასი მცხოვრებით, რომლებიც უმთავრესად ცხოვრობდნენ თიხატკეპნილ ქოხებში, არა ჰქონდათ კანალიზაცია, წყალმომარაგება, საავადმყოფოები და სკოლებიც კი“. ბასმაჩებზე გამარჯვების შემდეგ „საბჭოთა მთავრობამ დიდი სახსრები დააბანდა ამ რაიონში არა მარტო იმიტომ, რომ სტიმული მიეცა ადგილობრივი ეკონომიკისათვის, არამედ იმიტომაც, რომ რესპუბლიკაში განვითარებულიყო განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოფლის მეურნეობის სისტემა.

დღეს სტალინაბადი ქალაქია ორასი ათასი მცხოვრებით, სადაც სიცოცხლე ჩქეფს, ხოლო რესპუბლიკის ეკონომიკა — ინდუსტრიული და სასოფლო-სამეურნეო — სწრაფად ვითარდება. მცირემოსავლიანი მოკლებოჭკოიანი ბამბა, რომელიც წინათ მხოლოდ რამდენიმე ათას ტონას იძლეოდა წელიწადში, შეცვლილია გრძელბოჭკოიანი ჯიშებით, რომელთა მოსავალი, ტაჯიკეთის ხელმძღვანელთა განცხადებით, არათუ არ ჩამოუვარდება, არამედ მეტიც არის იმ მოსავალზე, რომელსაც კალიფორნიაში იღებენ, და შარშან მან რესპუბლიკას 200 მილიონი დოლარი შემოსავალი მისცა. გარდა ამისა, ახალმა კაშხალებმა და სარწყავმა არხებმა, რომელთა პროექტები შემუშავებული იყო სამი ამერიკელი ინჟინრის მონაწილეობით, უზრუნველყო თითქმის მილიონი აკრი ახალი ნაყოფიერი მიწა.

სტალინაბადში აშენებულია საფეიქრო ფაბრიკა, რომელიც ახლა ორმოცდაათ მილიონ იარდზე მეტ ქსოვილებს უშვებს საბჭოთა ბაზრისათვის.

საფეიქრო ფაბრიკის გარდა ტაჯიკეთში ბევრია კვების მრეწველობის საწარმო, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა და სართავი მოწყობილობის მწარმოებელი ქარხანა. რესპუბლიკა ამაყობს თავისი 36 ელექტროსადგურით; უკანასკნელ წლებში იქ აღმოჩენილია ნავთობის დიდი საბადოები, ქვანახშირის, თუთიისა და ტყვიის საბადოები.

შუა აზიის ფეოდალური საზოგადოების პრიმიტიულ ბაზაზე თანამედროვე ეკონომიკის განვითარების ნორმალურ სიძნელეებს თუ არ ჩავთვლით, თანამედროვე ტაჯიკეთის მშენებლებს მოუხდათ საქმე ჰქონოდათ სხვა დაბრკოლებებთანაც. არცერთი რკინიგზა არ მიდიოდა სტალინაბადამდე, სანამ საბჭოებმა არ ააშენეს იგი რევოლუციის შემდეგ. საჭირო გახდა წერა-კითხვის უცოდინარი ათასობით გლეხისათვის სწავლება მუშაობისა არა მარტო სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე მებამბეობის ფერმებში, არამედ სართავ და საქსოვ დაზგებზეც ფაბრიკაში.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობის გარდა, საბჭოთა ხელისუფლებმა დიდი ღონისძიებანი მოახმარეს ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სისტემის გაუმჯობესებას. მე მითხრეს, რომ ოცდაათი წლის წინათ მთელ ტაჯიკეთში ვერ იპოვნიდით თუნდაც ერთ ექიმს. ახლა ისინი ორი ათასზე მეტია, თითო — ყოველ 870 მცხოვრებზე (როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში თითოზე 700 მცხოვრები მოდის). ყოველ 240 ტაჯიკზე მოდის თითო ნასწავლი სამედიცინო და.

სტალინაბადში ბევრია ახალი საავადმყოფო, მათ შორის ორი საბავშვო ჰოსპიტალი. ამ უკანასკნელებიდან ერთ-ერთი ვინახულეთ მე და ჩემმა ცოლმა და მივიჩნიეთ, რომ იგი საკმაოდ კარგად არის მოწყობილი, ხოლო პერსონალი სავსებით კომპეტენტურია.

მალარიას და ტრაქომას, რომლებიც საუკუნეობით მუსრს ავლებდა შუა აზიის მოსახლეობას, უკანასკნელ დრომდე ტაჯიკეთში ეპიდემიური ხასიათი ჰქონდა. „ვინც მალარიით არ ყოფილა ავად, მას ჯერ კიდევ არ უცხოვრია“, — მითხრა ერთმა სახელმწიფო მოღვაწემ. მაგრამ ახლა, განგვიმარტა მან, ჭაობების დაშრობამ და ინსექტიციდების მასობრივმა გამოყენებამ იმდენად მოუღო ბოლო მალარიას, რომ ექიმები ჩივიან, კვლევის მიზნებისათვის დაავადებათა რიცხვი არა გვყოფნისო. ანტიბიოტიკების შემწეობით მკვეთრად შემცირდა აგრეთვე ტრაქომით დაავადებათა რიცხვი. ტაჯიკეთში რომ ვიყავით, არცერთ ჩვენგანს არ დაუნახავს უსინათლოები ან თვალწირპლიანი ადამიანები, ტრაქომის ეს აშკარა სიმპტომები, რომლებიც შეიძლება ნახოთ აზიის სხვა ქვეყნების ბაზრებზე.

სტალინაბადის ახალ კვარტალებში არის მთავრობის დიდი შენობები, სამ-ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლები, რომელთაგან ბევრი შეღებილია მხიარულ ფერებად და შემკობილია დახვეწილი ფილიგრანული ორნამენტით ძველი სპარსული ნიმუშების მიხედვით. სხვა კვარტალები დათმობილი აქვს ინდივიდუალურ, კერძო სახლებს — ლამაზბაღებიან პატარა „ბუნგალოებს“. ქალაქის ძველ კვარტალებში კიდევ შეიძლება შეხვდეთ ბზენარევი თიხის ქოხებსა და ვიწრო მოუკირწყლავ ქუჩებს, სადაც წყალსადენი იშვიათია, ხოლო კანალიზაცია ფაქტიურად არ არსებობს. მაგრამ სიბინძურე და ბუზები, რომლებიც ჩვეულებრივ დამახასიათებელია შუა აზიის ქალაქებისათვის, ფაქტიურად მოსპობილია...

საბჭოთა ხელისუფლებმა მოაწყეს აგრეთვე ფართო კამპანია განათლების განსავითარებლად, რომელმაც ტაჯიკეთი წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანების ქვეყნიდან განათლებულ საზოგადოებად გადააქცია. 1929 წელს ტაჯიკეთის სამივე სკოლაში 150-მდე მოსწავლე თუ დადიოდა. დღევანდლისათვის განათლების სისტემამ უკვე მისცა ტაჯიკეთს უმაღლესი თუ ტექნიკური განათლების მქონე 50 ათასი სპეციალისტი; ტაჯიკეთის 2.600 სკოლაში 330 ათასი მოსწავლეა.

ტაჯიკეთის პრემიერ-მინისტრი იკვეხნიდა რომ, გარდა ამ სკოლებისა, რესპუბლიკაში არის 1.000-ზე მეტი ჩვეულებრივი საბჭოთა „კულტურის სასახლე“, სადაც ადამიანებს შეუძლიათ მივიდნენ საღამოს და მოისმინონ ლექცია, ნახონ ჩამოსული მსახიობების, მუსიკოსებისა თუ საესტრადო მსახიობების გამოსვლა ან მონაწილეობა მიიღონ მოყვარულთა სპექტაკლებსა თუ კონცერტებში. რესპუბლიკა ამაყობს თავისი 800 ბიბლიოთეკით, 450 კინოთეატრით და 500-ზე მეტი გაზეთით, კულტურისა და დასვენების პარკებზე რომ აღარა ვთქვათ რა.

სტალინაბადის ბიბლიოთეკაში სიამაყით მაჩვენეს რამდენიმე ძველი სპარსული ხელნაწერი, აგრეთვე 29 სახელწოდების ტექნიკური ჟურნალი შეერთებული შტატებიდან. თ. დრაიზერის, ჯ. ლონდონისა და სინკლერ ლუისის თარგმანებს გარდა, მითხრა ბიბლიოთეკის გამგემ, ყველაზე პოპულარულია ამერიკული წიგნი „კრაზანა“, რომელიც გასული საუკუნის დამლევს დაწერა ე. ლ. ვოინიჩმა...

ტაჯიკეთს აქვს აგრეთვე 7 უმაღლესი სასწავლებელი. მათ შორის უნივერსიტეტი და სამი სამასწავლებლო ინსტიტუტი, რომლებშიც 30 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს. ამ უმაღლეს სასწავლებლებში ამზადებენ სპეციალისტებს არა მარტო სოფლის მეურნეობის, მედიცინის, საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებათა დარგში, არამედ ისტორიული კვლევისა და არქეოლოგიის დარგშიც.

მაგრამ, ჩანს, ტაჯიკეთის ყველაზე დიდი სიამაყე მისი მეცნიერებათა აკადემიაა. მისმა პრეზიდენტმა პროფესორმა ს. უ. უმაროვმა მითხრა, რომ მეცნიერებათა აკადემიას აქვს 13 ცალკე სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, რომლებიც კვლევას ეწევიან გეოლოგიის, ქიმიის, ბიოლოგიის, სოფლის მეურნეობის, აგრეთვე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგში. ეს ინსტიტუტები სწავლობენ ტაჯიკეთის ფაქტიურად ყველა სახეობის ბუნებრივ რესურსებს, ნიადაგის, ფლორისა და ფაუნის მდგომარეობას, ქვეყნის ძველ და თანამედროვე ისტორიასა და კულტურას და მის მიღმა ისტორიამდელ ანთროპოლოგიურ წარსულსაც კი“.

ავტორს მიაჩნია, რომ „ყველაზე შემაშფოთებელ ასპექტს საბჭოთა შუა აზიის რესპუბლიკების ამ სწრაფი განვითარებისას „ღარიბი გლეხური თემის დონიდან ერთი თაობის სიცოცხლის მოკლე ხნის განმავლობაში წარმოადგენს ის გავლენა, რომელიც მან შეიძლება მოახდინოს სხვა ნაკლებგანვითარებული ქვეყნების ხალხებზე“. „ყოველ წელიწადს ტაშკენტის უზარმაზარი საერთაშორისო აეროპორტით, — წერს ჰარიმანი, — ჩადის ათასობით ვიზიტიორი სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებიდან. ისინი დაჰყავთ გიგანტურ სანიმუშო კოლექტიურ ფერმებში, აჩვენებენ მათ მალარიისაგან განთავისუფლებულ სოფლებს, დიდ ფაბრიკებს, რომლებიც ამზადებენ ყველაფერს, დაწყებული ფეხსაცმლით და დამთავრებული დიდი სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, რომ აღარა ვთქვათ რა სკოლებზე, უნივერსიტეტებზე, ჰოსპიტლებსა და საოპერო თეატრებზე. ეს მიღწევები დამაჯერებელ იარაღს აძლევენ სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნების კომპარტიებს, რომლებიც ყოველივე ამაზე მიუთითებენ იმათ, ვისაც მოუთმენლად სწყურია თავისი საკუთარი ქვეყნების განვითარება“.

ეს მიღწევები, განაგრძობს ავტორი, „იმ გამოწვევის დიდმნიშვნელოვანი ნაწილია, რომელსაც ბ-ნი ხრუშჩოვი უყენებს დასავლეთის დემოკრატიებს, და განსაკუთრებით შეერთებულ შტატებს, მსოფლიო ხელმძღვანელობისათვის შეჯიბრებაში“.

ჰარიმანი წერს იმ აქტიური მუშაობის შესახებ, რომელსაც პარტია და მთავრობა ბინების ნაკლებობის დასაძლევად ეწევიან. იგი იხსენებს, რომ, როცა მან „საბჭოთა კავშირი დატოვა ომის შემდეგ, ევროპული რუსეთის ბევრი ქალაქი — კიევიდან სტალინგრადამდე — ძირითადად დანახშირებულ ნანგრევებს წარმოადგენდა“.

„როცა ხრუშჩოვმა საქმეები ჩაიბარა კრემლში, მან აღიარა, რომ მხოლოდ უაღრესად გადამწყვეტ ღონისძიებებს შეუძლიათ შეამსუბუქონ ბინების მზარდი ნაკლებობა. მისი პირველი ნაბიჯი ის იყო, რომ საბინაო მშენებლობის პროგრამა სამჯერ და ოთხჯერაც გაადიდებინა. მისი მეორე ნაბიჯი იყო უკუეგდო ყველა გეგმა სამკაულებიანი ცათამბჯენების მშენებლობისა და დიეტუქსა საბჭოთა არქიტექტორები მათ მიერ დაპროექ-

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

ჩინეთის ფოტოხელოვნება

თბილისელთა ინტერესს იწვევს ოფიცერთა საოლქო სახლის დარბაზში მოწყობილი ჩინეთის მხატვრული ფოტოსურათების გამოფენა, რომელიც მოაწყო ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალურმა მმართველობამ.

აქ წარმოდგენილია იშვიათი გემოვნებითა და ოსტატობით გადაღებული ფოტოსურათები, რომლებიც ასახავენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მრეწველობას, სოფლის მეურნეობას, კულტურულ ცხოვრებას, მათ გამოჩენილ ადამიანებსა და საზოგადო მოღვაწეებს, პეიზაჟებს.

გამოფენის პირველი განყოფილება მიეძღვნა ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ხალხების მეგობრობას.

ბევრია გამოფენაზე წარმოდგენილი ჩინეთის გამოჩენილ ფოტოხელოვანთა ნამუშევრები, რომელთაც ფოტოსურათთა I და II საერთაშორისო გამოფენებზე ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთში დაიმსახურეს პირველი, მეორე პრემიები და საპატიო სიგელები.

სურათებზე: ზემოთ — კუნძულ ხაინანის ბუნება (მარცხნივ), პარკი „იხეიუან" პეკინში (მარჯვნივ), ქვემოთ — ხარობს მოსავალი და ცეკვა შარფებით.

მსოფლიო კალენდარი

ახლა ყველგან 1960 წელი როდია!

— აბა თუ მეტყვი, რომელ წელში ვართ ახლა?

— როგორ რომელში? დღეს ერთი კვირაა, რაც 1960 წელი დადგა.

— დარწმუნებული ხარ? იცი, რომ ერაყსა და ავღანეთში 7 ივლისს დაიწყო 1379 წელი? ეთიოპიაში 12 სექტემბერს იდღესასწაულეს ახალი, 1952 წელი. იაპონიაში ახლა 2619 წელია საიმპერატორო დინასტიის წელთაღრიცხვით, ხოლო ინდონეზიელები აჯიხაყით 1891 წელს და ჰიჯრით 1379 წელს ითვლიან...

— მივხვდი, მივხვდი, — წამოიყვირა თანამოსაუბრემ. — ამ ქვეყნებში მიღებული წელთაღრიცხვა განსხვავდება ჩვენისაგან. მაგრამ ვერ გამიგია, რაღა მაინცდამაინც 7 ივლისს იწყება ახალი წელი ერაყსა და ავღანეთში?

— ახალი არაფერია, მაგრამ ყველამ როდი იცის, რომ არსებობს არა მარტო მზის, არამედ მთვარის წელიწადიც. მზის წელიწადი შეესაბამება მზის ირგვლივ დედამიწის ბრუნვის პერიოდს, ხოლო მთვარის წელიწადი დაკავშირებულია მთვარის ფაზობრივ ცვლილებასთან. ახალი მთვარიდან ახალ მთვარემდე გადის 29,5306 დღე და ღამე, მთვარის თვე თორმეტია მთვარის წელიწადში, დღეთა რაოდენობის მიხედვით კი მთვარის წელიწადში 354 დღეა.

— აჰა, მაშ მთვარის წელიწადი ჩამორჩება მზისას?

— სწორია. ტყუილად როდი ეძახიან მთვარის წელიწადს „გზააბნეულს". მთვარის წელიწადი ყოველწლიურად თერთმეტი დღით რჩება უკან მზის წელიწადს. მთვარის კალენდარი ახლაც არსებობს თურქეთში, ირანში და ზოგიერთ სხვა მუსლიმანურ ქვეყანაში.

ეთიოპიასა და არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის ეგვიპტის რაიონში გავრცელებულია კოპტური (მზის) კალენდარი, რომელიც ჩვენი კალენდრისაგან წელთაღრიცხვის დასაწყისითა და თვიურ დღეთა რაოდენობით განსხვავდება. ახალი წლის დასაწყისი ამ კალენდრით [illegible] 11 ან 13 სექტემბერს მოდის.

— რა უხერხულობაა, რა საჭიროა ამდენი კალენდრის არსებობა?

— რასაკვირველია, უხერხულია. დედამიწის ზურგზე რამდენიმე ათეული კალენდარია. ერთი კალენდრის თარიღთა გადასატანად მეორეში საჭირო ხდება სპეციალური ფორმულებისა და ტაბულების გამოყენება.

ახლა უკვე აუცილებელი შეიქნა ერთიან მსოფლიო კალენდარზე გადასვლა. სიტყვამ მოიტანა. და ასეთი კალენდარი უკვე დამუშავებულია.

— ეს კალენდარი რა. განსხვავებული იქნება ახლანდელი გრიგორიანული კალენდრისაგან?

— უმნიშვნელოდ. ამ კალენდარს გრიგორიანული უდევს საფუძვლად. მაგრამ ახალ მსოფლიო კალენდარში გამოსწორებულია ძველში არსებული უხერხულობანი. ამ კალენდრის მიხედვით კვირის ყოველი დღე ყოველ წელს ერთსა და იმავე თარიღს დაემთხვევა. მაგალითად, იანვრის, აპრილის, ივლისის და ოქტომბრის პირველი დღე ყოველ წელს იქნება კვირა, ხოლო თებერვლის, მაისის, აგვისტოსა და ნოემბრის პირველი დღე — ოთხშაბათი და ა. შ. ახალ კალენდარში ნუმერაცია აქვს მხოლოდ 364 დღეს, ხოლო 30 დეკემბერსა და 1 იანვარს შუა მოქცეული დღე აღნიშნულია ასო B და არა აქვს კვირის სახელწოდება. ფიქრობენ, რომ ეს დღე გამოცხადებული იქნება უქმედ. ნაკიან წელიწადში იქნება მეორე B დღეც წელიწადის შუა რიცხვებისათვის.

როგორც ცნობილია, ახლანდელ მოქმედ კალენდარში პირველი ნახევარი წელიწადი იყო 181 დღე (ნაკიანში — 182 დღე), ხოლო მეორე ნახევარში — 184 დღე. ახალ კალენდარში ეს შეუსაბამობა გამორიცხულია. წლის ორივე ნახევარი თანაბარია. ყოველი სამი თვე 91 დღეა: პირველი თვე — 31, ხოლო დანარჩენი ორი — ოცდაათოცდაათი დღე. სამთვიური იწყება კვირა დღით და მთავრდება შაბათით.

ახალი უნივერსალური კალენდრის შემოღების საკითხს ამჟამად განიხილავს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. თუ კი მოიწონეს, შემოღებული იქნება 1961 წლის 1 იანვრიდან, ვინაიდან ეს წელიწადი სწორედ კვირა დღით იწყება. ასე რომ წელს შეიძლება უკანასკნელად შევხვდით ახალ წელიწადს ძველი კალენდრის მიხედვით.

პ. საყვარელიძე.

საზღვარგარეთ

მთელი მსოფლიოს მხარდაჭერა

ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ

ბუქარესტი, 5 იანვარი. (საკდესი). რუმინელ მშრომელთა დიდი მოწონება გამოიწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხმა არგენტინის გაზეთ „კლარინის" დირექტორის რ. ნობლეს კითხვებზე.

დღეს რუმინეთის ყველა ცენტრალური გაზეთი თვალსაჩინო ადგილას აქვეყნებს პასუხების დაწვრილებით შინაარსს. გაზეთები „სკინტეია", „რომინია ლიბერა" და „მუნკა" შინაარსს ბეჭდავენ დიდი სათაურით „განიარაღება ყველაზე მწვავე პრობლემაა", „სკინტეია ტინერეტულუი" — „ჩვენ არ გვესაჭიროება არც ცივი, არც ცხელი ომი".

„საბჭოთა წინადადებები განიარაღების შესახებ გამსჭვალულია მხოლოდ და მხოლოდ იმის სურვილით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ნამდვილად მტკიცე მშვიდობა", — წერენ სათაურებში გაზეთები „აპერარია პატრიეი" და „სტიგულ როშუ".

„რომინია ლიბერა" გამოყოფს ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხის იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ, თუ საბჭოთა წინადადება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ ხალხთა შორის რეფერენდუმის საგანი გახდა, მას მხარს დაუჭერს დედამიწის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, რომ საბჭოთა კავშირი მოითხოვს ყველა სახეობის ატომგულის იარაღის გამოცდის სრულ და დაუყოვნებლივ შეწყვეტას, რომ იგი მოითხოვს ქვეყნებს შორის ურთიერთხელსაყრელი ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობის განუწყვეტელ გაფართოებას.

ბერლინი, 5 იანვარი, (საკდესი). ბერლინის დემოკრატიული პრესა კვლავ დიდ ყურადღებას უთმობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხს არგენტინის გაზეთ „კლარინის" დირექტორის რ. ნობლეს კითხვებზე. „ბერლინერ ცაიტუნგი" სათაურში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „განიარაღება" ყველა საკითხთა საკითხად რჩება". გაზეთი აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაურმა მხარი დაუჭირა ატომგულის იარაღის გამოცდის სრულ შეწყვეტას.

ნ. ს. ხრუშჩოვმა, წერს „ბერლინერ ცაიტუნგი", ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის მანამდე არ განაახლოს ატომგულის იარაღის გამოცდა, სანამ ამას არ გააკეთებს დასავლეთი.

საბჭოთა კავშირს კვლავ მიაჩნია, რომ ატომგულის იარაღის გამოცდა უნდა შეწყდეს, აღნიშნავს გაზეთი „ნაციონალ-ცაიტუნგი".

გაზეთი „დერ მორგენი" ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხის შინაარსს ბეჭდავს სათაურით „განიარაღება თანამედროვეობის ყველაზე გადაუდებელი პრობლემაა".

მეგობრობის ვიზიტი

ჯაკარტა, 5 იანვარი. (საკდესი). ინდონეზიის საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალი ვიზიტისადმი ინდონეზიაში.

დღეს გაზეთი „პემუდა" მოწინავე სტატიაში წერს, რომ ამ ვიზიტის შედეგად უეჭველია კიდევ უფრო განმტკიცდება ორი ქვეყნისა და ორი ხალხის მეგობრობა. მშვიდობისა და მეგობრობის ფრონტი, აღნიშნავს გაზეთი, კიდევ უფრო ძლიერი და მტკიცე გახდება არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელ მსოფლიოშიც. ნ. ს. ხრუშჩოვის ჩამოსვლას, რომელიც აქ ჩამოიტანს მეგობრობის სულისკვეთებას, მშვიდობისმოყვარეობის სულისკვეთებას, ჩვენ სიხარულით შევხვდებით.

აფრიკა—მშვიდობის სადარაჯოზე

პარიზი, 5 იანვარი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი მონროვიიდან იუწყება, ლიბერიის პრეზიდენტმა უილიამ ტაბმენმა გუშინ სიტყვა წარმოთქვა ახალი ვადით პრეზიდენტის თანამდებობის ოფიციალური დაკავების ცერემონიაზე. ცერემონიას დაესწრო მრავალი საზღვარგარეთელი სტუმარი, მათ შორის სსრ კავშირის მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის ნ. ა. მუხიტდინოვის მეთაურობით.

აფრიკის ყველა ხალხის მიერ მშვიდობის, თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის მიღწევა, განაცხადა ტაბმენმა, ყველაზე დიდმნიშვნელოვანი და გადაუდებელი პრობლემაა. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ლიბერია „არ მოახდენს არავითარ აქტს, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მშვიდობას, აგრეთვე არ გამოიყენებს ანგარიშის მიზნით უთანხმოებასა და გაუგებრობებს ქვეყნებს შორის".

ტაბმენმა მოუწოდა აფრიკის სახელმწიფოებს შეუდგნენ აფრიკის კულტურული და ეკონომიური განვითარების პროგრამის ერთობლივად განხორციელებას, რომელიც ითვალისწინებს, კერძოდ, ხელშეკრულებების დადებას მეგობრობისა და ვაჭრობის შესახებ.

ხალხები მოითხოვენ

ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტას

ნიუ-იორკი, 5 იანვარი. (საკდესი). ამერიკის „გონივრული ატომური პოლიტიკისათვის ბრძოლის ეროვნულმა კომიტეტმა" პრესას გადასცა მოხსენება თავისი სამეცნიერო-საკონსულტაციო ჯგუფისა, რომელსაც მეთაურობენ დოქტორი სეიმურ მელმენი და დოქტორი ჰიუ ვოლფი.

„პრეზიდენტ ეიზენჰაუერის იმ განცხადების შემდეგ, რომ შეერთებული შტატები თავს შეიკავებენ ატომგულის იარაღის გამოცდისაგან ამჟამად, მაგრამ არ გააგრძელებენ ოფიციალურ მორატორიუმს, ნათქვამია ჯგუფის მოხსენებაში, გამოცდის შეწყვეტის შესახებ ქმედითი ხელშეკრულების დადების ცდები გადამწყვეტ ფაზაში შედის". არაპირდაპირ გამოთქვამს რა, რომ არ ეთანხმება ამერიკის მთავრობის გადაწყვეტილებას — უარი თქვას ატომგულის იარაღის გამოცდის მორატორიუმის განგრძობაზე, სამეცნიერო-საკონსულტაციო ჯგუფი აცხადებს, რომ „ინგლისელთა გამოცხადებული პოზიცია, რომელიც იმით გამოიხატება, რომ ისინი არ შეწყვეტენ მორატორიუმს მანამდე, სანამ გრძელდება მოლაპარაკება, უფრო სასარგებლოა".

მოხსენებაში აღნიშნულია იმის დიდი მნიშვნელობა, რომ „რუსები მზად არიან განიხილონ ატომგულის იარაღის აფეთქებათა გამომჟღავნების სისტემის გაუმჯობესების საშუალებანი". „დებულებანი კვლევისა და გაუმჯობესებათა შესახებ, აგრეთვე ინსპექციის სისტემის გადასინჯვის შესახებ, ნათქვამია მოხსენებაში, შეტანილ უნდა იქნას ყველა შეთანხმებაში შეიარაღებისადმი კონტროლის შესახებ. ხელშეკრულების პროექტი შეიცავს ასეთ დებულებებს. და მართლაც, შესაბამის ორგანიზაციებს რომ ეხმარათ იმდენივე ღონისძიება და დაეხარჯათ იმდენივე სახსრები აფეთქებათა გამოვლინების მეთოდების გაუმჯობესებისათვის, რამდენსაც ისინი ხარჯავენ, რათა თავი აარიდონ შეთანხმებათა შესრულებას, მაშინ ამოცანა, რომელიც დასახულია ჩვენს წინაშე, გაცილებით უფრო ნაკლებ რთული იქნებოდა".

მეცნიერულ-საკონსულტაციო ჯგუფი აკრიტიკებს ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციას ექსპერტთა ამასწინანდელი სხდომების დროს მიწისქვეშა ატომურ აფეთქებათა აღმოჩენის საკითხზე. შეერთებულმა შტატებმა, აღნიშნავს იგი, შეიტანეს წინადადება კრიტერიუმად ინსპექციისათვის აერჩიათ ისეთი სუსტი სიგნალები, რომ სულ ადვილია მათი არევა ყოველგვარ სხვა ხმაურში. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველგვარი ხმაური იქნებოდა საფუძველი ინსპექციისათვის ადგილებზე, რისთვისაც საჭირო გახდებოდა არაგონივრულად ბევრი გამგზავრება საინსპექციოდ.

ამასთან ჯგუფი წინააღმდეგია აგრეთვე საბჭოთა კავშირის პოზიციისა ექსპერტთა სხდომებზე.

ეხება რა დასავლეთის პრესაში ამ ბოლო დროს გავრცელებულ განცხადებებს იმის შესახებ, რომ შესაძლებელია 1 კილოტონამდე სიმძლავრის მიწისქვეშა აფეთქებების ჩახშობა და რომ რთულია მეტად სუსტი აფეთქებების გამომჟღავნება, სირთულეს წარმოადგენს, მეცნიერულ-საკონსულტაციო ჯგუფი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ადგილებზე ინსპექციისა და სათანადო ხელსაწყოების გამოყენების შეხამება მეტად გააძნელებს ასეთ საცდელ აფეთქებათა დამალვის შესაძლებლობას".

საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს, — ნათქვამია მოხსენებაში, რომ დიდი განსხვავებაა თეორიულად შესაძლებელსა, და იმას შორის, რაც ტექნიკურად შეიძლება განხორციელდეს. რაც შეეხება მიწისქვეშა სიცარიელეთა შექმნას აფეთქებათა ჩასახშობად, უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ არავის არ შეუქმნია ისეთი უზარმაზარი კამერა, როგორიც საჭირო იქნება 100 კილოტონა სიმძლავრის აფეთქების ჩასახშობად, რომ შესაძლოც გახდეს ასეთი კამერის შექმნა, ამისათვის საჭირო ხარჯები რამდენიმე ასეულჯერ აღემატება თვით ატომური მოწყობილობის ღირებულებას. გარდა ამისა, ამისთვის საჭირო იქნება რამდენიმე წელიწადი, და სამუშაოების დამალვა ძნელი იქნება. იგივე უნდა ითქვას „კოსმოსურ სივრცეში" აფეთქებათა შესახებ.

ამერიკის „გონივრული ატომური პოლიტიკისათვის ბრძოლის ეროვნული კომიტეტის" სამეცნიერო-საკონსულტაციო ჯგუფი ასახელებს იმ ყოველწლიურ ინსპექციათა სავარაუდო ქვოტას, რომლებიც უნდა მოეწყოს ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოთა ტერიტორიაზე. მისი აზრით, „რუსეთის ტერიტორიაზე წელიწადში 30 ინსპექციის მოწყობა ადგილებზე და ამდენივე ინსპექციის მოწყობა შეერთებული შტატების ტერიტორიაზე პლუს იმ ხელსაწყოების გამოყენება, რომელთა შექმნა ახლა შესაძლებლად ითვლება, უზრუნველყოფენ გონივრულ თავდაპირველ ღონისძიებებს ინსპექციის სისტემისათვის".

„ხელშეკრულების დადება ატომგულის იარაღის ყოველგვარი გამოცდის შეწყვეტის შესახებ კონტროლის სათანადო სისტემის პირობებში, ნათქვამია დასასრულ მოხსენებაში, ტექნიკურად სავსებით შესაძლებელია". ამასთან დაკავშირებით მოხსენება შეიცავს მოწოდებას ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი „არ შეასუსტოს მეცადინეობა ასეთი ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად".

მაკმილანის მოგზაურობა

ლონდონი, 6 იანვარი. (საკდესი). გუშინ საღამოს ინგლისის პრემიერ-მინისტრი მაკმილანი გაფრინდა ცენტრალურ აფრიკაში. მაკმილანი ეწვევა განას, ნიგერიას, როდეზიისა და ნიასალენდის ფედერაციასა და სამხრეთ აფრიკის კავშირს.

მაკმილანის მოგზაურობა დაახლოებით ოთხ კვირას გასტანს. მისი მოგზაურობის დროს პრემიერ-მინისტრის მოვალეობას შეასრულებს შინაგან საქმეთა მინისტრი ბატლერი.

მაკმილანმა სიტყვა წარმოთქვა ლონდონის აეროპორტში. მან განაცხადა, რომ მისი მოგზაურობის მიზანია პირადად გაეცნოს მდგომარეობას ადგილზე იმასთან დაკავშირებით, რომ საჭიროა „აფრიკის ძნელი პრობლემების გადაჭრა".

ბევრი პოლიტიკური მიმომხილველის კომენტარებში გამოსჭვივის აზრი, რომ პრემიერ-მინისტრის მოგზაურობა დაკავშირებულია აფრიკაში ინგლისის კოლონიური პოლიტიკის სერიოზულ სიძნელეებთან. მაგალითად, გაზეთი „ფაინენშლ ტაიმსი" აღნიშნავს, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდამ და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნამ აფრიკის კონტინენტზე „უაღრესად ძნელი მდგომარეობა" შეუქმნა ინგლისის მთავრობას და აიძულა იგი გადაედგა ნაბიჯები აფრიკაში პოლიტიკის შესაცვლელად.

ჭადრაკი

საერთაშორისო ტურნირი

სტოკჰოლმში დამთავრდა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც სსრ კავშირიდან გამოდიოდნენ გროსმაისტერები პ. კერესი და ა. კოტოვი. საინტერესო ბრძოლის შემდეგ პირველი და მეორე ადგილები შვიდ-შვიდი ქულით გაინაწილეს ა. კოტოვმა და ჰ. იუხანსონმა (შვეცია). გროსმაისტერმა პ. კერესმა 6,5 ქულა შეაგროვა და მესამე ადგილი დაიკავა.

თბილისის საჭადრაკო პირველობა

თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გრძელდება ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის საჭადრაკო პირველობა ვაჟთა შორის.

უკვე გათამაშდა 5 ტური. სატურნირო ცხრილის სათავეში იმყოფება ოსტატობის კანდიდატი თ. კიკიანი, რომელსაც 4 ქულა აქვს.

ი. დ. კვანტალიანი — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

ი. დ. კვანტალიანმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „მასალები ქალის სასქესო ორგანოებსა და ორსულობაზე მალარიის გავლენის საკითხისათვის".

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ი. დ. კვანტალიანისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

„მშვიდობა რუსეთთან?"

(გაგრძელება)

ტებული უზომოდ ძვირი, ღვლარჭნილ სამკაულებიანი უგუნური შენობებისათვის...

ხრუშჩოვმა არქიტექტორებს უთხრა, რომ ამიერიდან ყველა საცხოვრებელი შენობა განთავისუფლებული იქნება „არქიტექტურულ ზედმეტობათაგან" და თვითეული მანეთი, რომელიც საბინაო მშენებლობას ხმარდება, გამოყენებული იქნება საცხოვრებელი ფართობის გადიდებისათვის. მან მოუწოდა მშენებლებსა და ინჟინრებს შეიმუშაონ მშენებლობის მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბინების რაც შეიძლება მეტ რაოდენობას რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯით და უმეტესი სისწრაფით, ამასთან დაბრკოლებებს არ შეუქმნიან მძიმე მრეწველობის მოთხოვნილებებს დეფიციტურ სამშენ მასალებზე.

რადგან საბჭოთა კავშირში ფოლადი დეფიციტური მასალაა, მშენებლებმა ბეტონს მიმართეს. სასწრაფო ექსპერიმენტების შემდეგ შემუშავებულ იქნა სისტემა სტანდარტული ბეტონის ფილების, პანელების, არმირებული სვეტებისა და გადახურვებისა, რომლებიც ქარხნული წესით მზადდება. მშენებლებმა მთელ საბჭოთა კავშირში მიიღეს ინსტრუქცია გამოიყენონ ისინი. ყველგან, სადაც კი მე ვიყავი, ვხედავდი მშენებლობის ახალი სისტემისათვის ბეტონის ფილების, პანელებისა და სხვა სამშენებლო დეტალების დამამზადებელ ქარხნებს, რომლებიც შენდებოდა.

ჩქაროსნული მშენებლობის ახალი სისტემის ეფექტიანობა ამიწერა ქალაქ მოსკოვის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა არქიტექტორმა. მან განაცხადა, რომ ქარხნული წესით დამზადებული ბეტონის დეტალების გამოყენების გზით მუშები, რომლებიც წინათ მილიონნახევარ კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს აშენებდნენ წელიწადში, ახლა თითქმის ორჯერ მეტს იძლევიან, ამასთან ამ ანგარიშში შეტანილია ის ქარხნების მუშახელი, სადაც ბეტონის სამშენებლო დეტალები მზადდება. თუ წინათ ქალაქი ერთი შენობის ასაგებად იყენებდა 300-მდე მუშას, ახლა, მითხრა მან, მხოლოდ ორმოცდაათი ან სამოცი კაცი მუშაობს".

ამასთან ერთად ავტორი აღნიშნავს, რომ მშენებლობის ხარისხი ყოველთვის როდი აკმაყოფილებს მოთხოვნებს. „ყარაგანდაში, ყაზახეთის ველების გულში, — წერს იგი, — მე ვნახე, ქალთა ბრიგადა როგორ მუშაობდა ბრძმედის ქვის კედლების ამოგებაზე ისეთივე სიზუსტით, როგორსაც შეიძლება შევხვდეთ ამერიკის საუკეთესო მეტალურგიულ ქარხნებში. მათგან ერთი-ორი მილის მანძილზე ქალთა მეორე ბრიგადას მშენებლობაზე ისე საშინლად აჰყავდა აგურის კედელი. რომ კირის ხსნარის მხოლოდ სქელ თიხას შეეძლო დაეფარა ყველა დეფექტი".

„მშენებლობაში დაბალი ხარისხისა და აჩქარების და არქიტექტურის პრიმიტიულობის საწინააღმდეგოდ, — განაგრძობს ჰარიმანი, — ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა ქალაქის დამგეგმავების მისწრაფებამ დარგონ რაც შეიძლება მეტი მცენარეულობა არა მარტო დიდ პარკებში, არამედ განიერი ქუჩებისა და ბულვარების გაყოლებითაც და განსაკუთრებით ღია ადგილებში, რომლებსაც ისინი წინდახედულად ტოვებენ საცხოვრებელ სახლებს შუა, რომ შემდეგ იქ მოაწყონ საბავშვო სათამაშო მოედნები და დასასვენებელი ბაღები...

მოსკოვის გარეუბნები, მაგალითად, განაშენიანებულია ერთიანი გეგმით. თვითეული ახალი რაიონი კარგად არის დაგეგმილი და აქვს ბევრი ღია ადგილი (მათ შორის სათამაშო მოედნები და აკურატულად გაშენებული ბულვარები) შენობებს შუა და ჩვეულებრივ შეერთებულია ქალაქის ცენტრთან განიერი რადიალური ქუჩებით, რომლებიც თვით კრემლიდან მოდიან".

სახელმწიფო საბინაო მშენებლობას, წერს ჰარიმანი, ემატება კერძო მშენებლობა. „ამერიკელებს ხშირად უკვირთ, როცა შეიტყობენ ხოლმე, რომ საბჭოთა მოქალაქეების ძალიან დიდი პროცენტი საკუთარ სახლებში ცხოვრობს. კოლექტიურ ფერმებში, სადაც ცხოვრობს მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი, ყველა საცხოვრებელი სახლი ფაქტიურად კერძო წესით შენდება და კერძო მფლობელობაშია. პატარა ქალაქებში, რომლებშიც მე ვიყავი, კერძო მფლობელობაშია საცხოვრებელი სახლების 25-50 პროცენტი. თვითეულ ამ ქალაქში გამოყოფილია რაიონები იმისათვის, რასაც ისინი „ინდივიდუალურ განაშენიანებას" უწოდებენ.

(დასასრული იქნება)

უცხოეთის ქრონიკა

◆ კამერუნის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ კივუ სტოიკამ კამერუნის მთავრობის მეთაურს ა. ახიჯოს გაუგზავნა მისალოცი დეპეშა, რომელშიც ატყობინებს, რომ რუმინეთმა ცნო კამერუნის სახელმწიფო.

◆ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტრომ საბერძნეთს მისცა შეკვეთები 8,8 მილიონი მარკის ოდენობით ბუნდესვერისათვის სამხედრო მასალების მიწოდებაზე. განვლილ 1959 წელს დასავლეთ გერმანიამ საბერძნეთში იყიდა 35 მილიონი მარკის სხვადასხვა სამხედრო საჭურველი.

◆ დასავლეთ გერმანიის სამი ფირმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შეკვეთით მუშაობს ბუნდესვერისათვის ახალი ტიპის ტანკების კონსტრუქციაზე. ახალი ტანკების პირველი ნიმუშები მზად იქნება მიმდინარე წელს.

◆ ინგლისის სამხედრო ავიაციის მინისტრი უორდი ლონდონიდან ამერიკაში გაფრინდა. იგი ორ კვირას დაჰყოფს კანადაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მექსიკაში, სადაც შეხვდება სამხედრო-საჰაერო ძალების ხელმძღვანელებს და დაათვალიერებს ავიაბაზებსა და შტაბებს.

◆ პაკისტანის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემების თანახმად, პაკისტანში გრძელდება ფასების ზრდა. მარტო ერთ თვეში — 1959 წლის ოქტომბრიდან ნოემბრამდე — ფართო მოხმარების საქონლის ფასები გაიზარდა თითქმის 2 პროცენტით, ხოლო უკანასკნელ წელს — 8,5 პროცენტით და მეტით.

◆ დელში ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ნერუს სტუმრად ხანმოკლე ვიზიტით ჩავიდა ინგლისელი ფელდმარშალი მონტგომერი.

ზ. ფალიაშვილის სახელობის
ოპერისა და ბალეტის
ლენინის ორდენოსანი
სახელმწიფო თეატრი

ბუქარესტის სახელმწიფო
თეატრის პრემიერის —
სახელმწიფო პრემიის
ლაურეატის
ოქტავ ენიგარესკუს (რუმინეთი)
(ბარიტონი)
გასტროლები

კვირას, 10 იანვარს
ჯ. როსინი
სევილიელი დალაქი
ფიგაროს პარტიას შეასრულებს
ოქტავ ენიგარესკუ

ოთხშაბათს, 13 იანვარს
ჯ. ვერდი
ტრავიატა
ჟერმონის პარტიას შეასრულებს
ოქტავ ენიგარესკუ.
ბილეთები იყიდება.
დასაწყისი
საღამოს 8 საათზე.

თბილისის თეატრებში და კინოებში

7 იანვარი

ოპერისა და ბალეტის — მზინარე მზეთუნახავი (დღისით), აიდა (საღამოს, მე-5 აბონ. მე-6 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — ამბავი სიყვარულისა, (დღისით), როცა ასეთი სიყვარულია (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — მეფე ერეკლე (დღისით), ჩარლის დეიდა (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — ვაი ჭკუისაგან (დღისით და საღამოს მე-5 აბონ. მე-4 წარმ.), **ხანკულტურის** — დაკარგული ბედნიერება (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ვარსკვლავბიჭუნა (აბონ. № 9, 3 ს.), პრინცესა ტურანდოტი (აბონ. № 10, 7 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — საიდუმლო კუნძული (11 და 5 ს.).

რადიო

7 იანვარი
პირველი პროგრამით

11.00 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 11.30 — ბოროდინი. მეორე სიმფონია, 12.15 — ქართული სიმღერები ვაჟთა ვოკალური კვარტეტის შესრულებით, 12.45 — არიები საბჭოთა კომპოზიტორების ოპერებიდან ვ. შმალცელის შესრულებით, 17.20 — რუსული საფორტეპიანო მუსიკა, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის. „გვეკითხებიან — ვუპასუხებთ", 18.05 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.45 — ქართველ კომპოზიტორთა ვოკალური ნაწარმოებები ბ. კრავეიშვილის შესრულებით, 19.15 — საბჭოთა მსუბუქი მუსიკა, 19.45 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის. საუბარი „თქვი, და შეასრულე კიდეც", 20.20 — ა. ბალანჩივაძე. მესამე საფორტეპიანო კონცერტი, 20.40 — საუბარი: „რაზე იმუშავებენ საქართველოს მეცნიერები 1960 წელს", 20.55 — ლიტერატურული გადაცემა რუსულ ენაზე მრევლიშვილი მოთხრობა „მწუხრის სიმღერა", 21.2 — რადიოდადგმა „მოცარტი" (II ნაწილი).

ტელევიზია

7 იანვარი
დღისით

გადაცემები მოსწავლეთათვის

15.00 — „სტუდიაში არიან პიონერი აქტივისტები" (გადაცემა პიონერული საფეხურების შესახებ), 15.15 — მხატვრული ფილმი „ზვიგენის კბილი".

საღამოს

19.30 — ყველაზე პატარებისათვის — „აბა გამოიცანით!", 19.45 — კინოჟურნალი, 19.55 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 20.15 — კინონარკვევი, 20.25 — „საჭადრაკო კონკურსში გამარჯვებულნი", 20.30 — ახალი ფრანგული სათავგადასავლო ფილმი „მეუდროების სამროში", 22.00 — კინონარკვევი, 22.20 — კინომოთხრობა „იქ, სადაც მე ვცხოვრობ".

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 2-06-88.

უე-00393 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14. 1